



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართული ენა და ლიტერატურა“
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართული ლიტერატურა“
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ლინგვისტიკა“
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ფოლოლოგია“

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 16, 17, 18 იანვრი, 2023

დასკვნის წარდგენის თარიღი: 17 მარტი, 2023

თბილისი

- I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ..... Error! Bookmark not defined.
- II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა..... Error! Bookmark not defined.
- III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან..... Error! Bookmark not defined.
 - 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა..... Error! Bookmark not defined.
 - 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა Error! Bookmark not defined.
 - 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა..... Error! Bookmark not defined.
 - 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა Error! Bookmark not defined.
 - 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები..... Error! Bookmark not defined.

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
ინსტიტუციის ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნიჰადა დელიბეგოვიჩ ჯანიჩი, ტუზლას უნივერსიტეტი, ბოსნია და ჰერცეგოვინა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ ჩოკორაია, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო პატარაია, განათლების ექსპერტი ევროპული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანა ყიასაშვილი, დამსაქმებელი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი ბერიძე, სტუდენტი, საქართველო

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ქართული ენა და ლიტერატურა	ქართული ლიტერატურა	ლინგვისტიკა	ქართული(ქართველური) ლინგვისტიკა	ფილოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	მე-6	მე-7	მე-7	მე-7	მე-8
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ხელოვნების ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში	ხელოვნების მაგისტრი ქართულ ლიტერატურაში	ხელოვნების მაგისტრი ლინგვისტიკაში	ხელოვნების მაგისტრი ქართულ (ქართველურ) ლინგვისტიკაში	ფილოლოგიის დოქტორი
კონკრეტული სფეროს დასახელება და კოდი	0232 – ლიტერატურა და ლინგვისტიკა	0232 – ლიტერატურა და ლინგვისტიკა	0232 – ლიტერატურა და ლინგვისტიკა	0232 – ლიტერატურა და ლინგვისტიკა	0232 – ლიტერატურა და ლინგვისტიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/ საგნების ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ¹					
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული

¹ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

ECTS კრედიტების რაოდენობა	240	120	120	120	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/პირობითად აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	23.09.2011, №44	19.04.2012, №85	19.04.2012, №99	19.04.2012, №87	№253, 30.12.2019

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ²**

კლასტერში დაჯგუფებულია ხუთი პროგრამა: საბაკალავრო პროგრამა - "ქართული ენა და ლიტერატურა", სამაგისტრო პროგრამები - "ქართული ლიტერატურა", "ლინგვისტიკა", "ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა" და სადოქტორო პროგრამა - "ფილოლოგია").

ექსპერტებისთვის მიწოდებული ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაცია იყო შესაბამისი და განახლებული. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ყველა დოკუმენტი ძალიან მოკლე პერიოდში მოგვაწოდა. დოკუმენტების უმეტესობა ხელმისაწვდომი იყო როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ გასაუბრებოდნენ კლასტერის დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის უნივერსიტეტის მენეჯმენტს, ფაკულტეტის მენეჯმენტს, აკადემიურ პერსონალს, დამსაქმებლებს, კურსდამთავრებულებს და სტუდენტებს. ექსპერტებმა ასევე მოინახულეს ობიექტები და ბიბლიოთეკა, ვიზიტის დროს.

- **ადგილზე ვიზიტის მიმოხილვა**

ადგილზე ვიზიტი შედგა 2023 წლის 16, 17 და 18 იანვარს ჰიბრიდულ ფორმატში. ქართველმა ექსპერტებმა შეძლეს უნივერსიტეტში ვიზიტი, ხოლო თავმჯდომარესთან და სხვებთან შეხვედრა ჩატარდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (ცენტრი) მიერ მოწოდებული Zoom ბმულის საშუალებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესთან დაკავშირება იმავე Zoom ბმულის საშუალებით მოხდა. 16 იანვარს ექსპერტთა ჯგუფმა გამართა მოსამზადებელი შეხვედრა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელთან. ამ შეხვედრაზე განიხილეს და საკმარისად დაზუსტდა შეფასებასთან დაკავშირებული აუცილებელი საკითხები. ექსპერტთა ჯგუფს ეფექტურად ეხმარებოდნენ ცენტრის წარმომადგენლები, რომლებიც ფიზიკურად იმყოფებოდნენ უნივერსიტეტში ვიზიტის დროს. ცენტრმა უზრუნველყო ეფექტური სათარჯიმნო მომსახურება. ექსპერტთა ჯგუფი და, კონკრეტულად, თავმჯდომარე უღრმეს მადლობას უხდის ყველას, ვინც მონაწილეობდა ადგილზე ვიზიტის მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ცენტრის წარმომადგენლებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რომ მთელი პროცესი შეუფერხებლად წარმართულიყო. ცენტრის წარმომადგენლები ხელმისაწვდომი იყვნენ ჯგუფის წევრებისთვის მთელი პროცესის განმავლობაში. ანგარიში დაიწერა მთელი გუნდის მიერ და მოეწყო რამდენიმე ონლაინ შეხვედრა, რათა უზრუნველყოფილიყო ზოგადი კონსენსუსის მიღწევა კომენტარებისა და

² პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

შეფასებების შესახებ. ჯგუფის თავმჯდომარე უღრმეს მადლობას უხდის მთელ გუნდს აქტიური და ეფექტური მონაწილეობისთვის.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

შინაარსი სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 (ქართული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 3 (ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 4 (ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 5 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

კლასტერში არსებული პროგრამების უმეტესობა ავლენს მოთხოვნებთან შესაბამისობის ძალიან მაღალ ხარისხს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა გარკვეული რეკომენდაციები:

1. უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ქართულ ფილოლოგიაში, როგორც უმაღლესი განათლების ერთ-ერთი მთავარი დოკუმენტი, ყველა ასპექტით ზედმიწევნით უნდა იყოს დაცული. დარგობრივი მახასიათებელი აღწერს სწავლის სფეროს, სწავლის შედეგებს, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდებს და სხვა დამატებით ინფორმაციას.
2. სამაგისტრო პროგრამა - „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“ მიესადაგოს უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს ქართულ ფილოლოგიაში. მახასიათებელში მითითებულია, რომ მეგრული, ლაზური, სვანური ენებია და არა ქართველური ენა-დიალექტები (მეგრულ-ლაზური, სვანური), როგორც ეს მითითებულია სასწავლო პროგრამაში- ქართული (ქართველური ლინგვისტიკა).
3. სილაბუსებში უნდა შევიდეს უახლესი პუბლიკაციები და შეიცვალოს რუსულ ენაზე წარმოდგენილი უფრო ძველი გამოცემები.
4. მიზანშეწონილია, რომ ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა ქართველური ლინგვისტიკის ნაწილში მოიცავდეს დარგის აღიარებულ სამეცნიერო ტენდენციებს და მიმართულებებს.
5. მიზანშეწონილია სასწავლო კურსი „ქართული დიალექტოლოგია“ შეესაბამებოდეს დარგობრივ მახასიათებელს.
6. რეკომენდებულია ქართული დიალექტებისა და ქართველური ენების სტატუსის დადგენა საბაკალავრო სასწავლო პროგრამის „ქართული ენა და ლიტერატურა“ ფარგლებში და სტუდენტური პრაქტიკის განხორციელებისას ყურადღება მიექცეს აღნიშნულ გარემოებებს.
7. ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამაში „ქართული ენა და ლიტერატურა“ რეკომენდებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში თემატური გადაფარვების თავიდან აცილება.
8. სასწავლო კურსი „ქართული ლიტერატურა ინტერნეტ სივრცეში“ უნდა გადამუშავდეს ისე, რომ დაზუსტდეს მისი მიზნები და შესაბამისობა სწავლის შედეგებთან.
9. რეკომენდებულია სასწავლო კურსების სახელები და შინაარსი შეესაბამებოდეს სფეროში დადგენილ ტერმინოლოგიას, რათა თავიდან იქნას აცილებული სამეცნიერო კვლევის გაურკვეველობა და მარგინალიზაცია.
10. საჭიროა დაიხვეწოს ინგლისურ ენაზე სავალდებულო ბიბლიოგრაფიის სტანდარტები, განსაკუთრებით სამაგისტრო პროგრამისთვის "ლინგვისტიკა" და სადოქტორო პროგრამისთვის „ფილოლოგია“ და მოიცვას სავალდებულო ბიბლიოგრაფია ინგლისურ ენაზე.

11. რეკომენდებული სასწავლო კურსები „საერთო ქართველური ენისა და ქართველური ქვესისტემების ფონემიკური სტრუქტურა (ისტორიული დინამიკა)“, „ქართული ტრილიტერატურული ენის გრამატიკის აქტუალური საკითხები (ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებაში)“ უნდა გადამუშავდეს ისე, რომ შეესაბამებოდეს ტერმინოლოგიას, რომელიც მიღებულია ენათმეცნიერების სფეროში.
12. რეკომენდებულია სასწავლო კურსი „ლინგვოკულტუროლოგიის“ გადახედვა და დოქტორანტურის შესაბამისი შინაარსისა და უახლესი ლიტერატურის შეტანა.
13. სასურველია სასწავლო კურსი „ლინგვოკულტუროლოგიის“ სათაური შეიცვალოს, როგორც „ენა და კულტურა“.
14. აკადემიური წერა უნდა გაუმჯობესდეს ბაკალავრიატის დონეზე.
15. სამაგისტრო ნაშრომებში უნდა დაიხვეწოს ნაშრომის დიზაინი და სტრუქტურა, სამეცნიერო ტერმინოლოგია.
16. რეკომენდებულია სადოქტორო ნაშრომი შეიქმნას თანამედროვე კვლევის დიზაინის შესაბამისად.
17. სადოქტორო ნაშრომებს თან უნდა ერთვოდეს რეზიუმეები ინგლისურ ენაზე.
18. სამაგისტრო პროგრამაზე „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“ სწავლებისა და სწავლის მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს დარგობრივ მახასიათებლებს და უზრუნველყოფდეს მათ მიღწევას.
19. დაწესებულებამ უნდა წახალისოს აკადემიური პერსონალი, გამოაქვეყნოს სტატიები დოქტორანტებთან ერთად. დოქტორანტებისთვის სასარგებლო იქნება მათი ხელმძღვანელის რჩევები კვლევით პუბლიკაციებში. ეს გამოიწვევს მაღალი ხარისხის პუბლიკაციებს უნივერსიტეტის სახელით.
20. „ქართულ (ქართველურ) ლინგვისტიკაში“ და „ლინგვისტიკაში“ აკადემიური პერსონალი არ არის საკმარისი რაოდენობის, რადგან სამაგისტრო დონეზე პროგრამების ხელმძღვანელები უძღვებიან ძალიან ბევრ კურსს, რომელიც დაბალანსებული უნდა იყოს საგნებისა და სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად.
21. მისაღები მსგავსების ქულა (პროგრამიდან Turnitin) არ უნდა იყოს მითითებული პლაგიატის საკითხებთან და პოლიტიკასთან დაკავშირებულ დოკუმენტში. ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის ყველა ნაშრომში მსგავსებისა და პლაგიატის შესახებ შემთხვევები უნდა გაანალიზდეს და განიხილებოდეს ინდივიდუალურად და უკუკავშირის მიწოდებით, რამდენადაც პლაგიატის წილი ნაშრომში შეიძლება მსგავსების დაბალი პროცენტით გამოვლინდეს.
22. აუცილებელია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის ხელმძღვანელს მისცეს მკაფიო რეკომენდაციები, რათა პროგრამა შესაბამისობაში იყოს დარგობრივ მახასიათებელთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პასუხისმგებელ პირს უნდა აჩვენოს ამ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამისი რისკის წარმოშობის ფაქტი.
23. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გასცეს უფრო მკაფიო რეკომენდაციები პროგრამაზე მუშაობისას გარე შემფასებლის მიერ გამოვლენილ გასაუმჯობესებელ

მხარეებთან დაკავშირებით, აჩვენოს პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს, ამ ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა და მათი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, შესაბამისი გარემოებების რისკი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

1. პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს სხვა აკრედიტებული პროგრამების პროგრამულ მიზნებს.
2. სასურველია, ფაკულტეტს ყველა სილაბუსი ჰქონდეს ინგლისურ ენაზე და ისინი გამოქვეყნდეს ფაკულტეტის ვებგვერდზე.
3. გირჩევთ, შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში აჩვენოთ, თუ გაუმჯობესების რა სფეროები გამოიკვეთა შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე და რა გამოცდილება იქნა გაზიარებული პროგრამაზე მუშაობისას, ასევე რა მიმართულებით განაპირობა ამ მოსაზრებებმა გარკვეული ცვლილებები პროგრამაში. შრომის ბაზრის კვლევა ეფუძნებოდა უფრო რაოდენობრივ კვლევას და ნაკლებად იყო ორიენტირებული კვლევის შედეგების ერთიან შეჯამებაზე და იმ გარემოებების გამოკვეთაზე, რასაც ამ ეტაპზე მოითხოვს შრომის ბაზარი ამ მიმართულებით.
4. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურას სასურველია დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგებით განსაზღვრულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაფუძნებული წერილობითი ნაშრომის მომზადებას.
5. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ განათლება ხელმისაწვდომი იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის. გამოყენებული უნდა იყოს შეფასების სხვადასხვა ფორმა, რათა სწავლის სხვადასხვა უნარისა და კომპეტენციის მქონე მოსწავლეებს ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები აკადემიური მოსწრებისთვის. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებს არა მხოლოდ ფიზიკური სირთულეები აქვთ, არამედ მნიშვნელოვანია შეფასების და პრეზენტაციის ფორმების მორგება მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად.
6. თავიდან უნდა იქნას აცილებული სასწავლო კურსების შინაარსისა და თემატური გადაფარვა.
7. გირჩევთ, რომ სასწავლო კურსის კრედიტების განაწილება იყოს შესაბამისი და თანმიმდევრული კურსის შინაარსთან, მიზნებთან, ამოცანებთან და სწავლის შედეგებთან, როგორც კურსის, ასევე პროგრამის პერსპექტივიდან.
8. გირჩევთ, რომ ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნეს დარგობრივ მახასიათებელში აღნიშნული საკითხები: ფოლკლორი, ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.
9. გირჩევთ, მოახდინოთ სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ათვისების შედეგად სტუდენტების მიერ მიღებული ცოდნის დიფერენციაცია და შეფასების ასახვა.

10. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობად სასურველია განისაზღვროს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და მასთან დაკავშირებულ მიმართულებებში.
11. წერთი კომპონენტი ბაკალავრიატის დონეზე მოითხოვს გაუმჯობესებას. წერთი კომპონენტებისთვის მინიჭებული ქულები უნდა გაიზარდოს. ქულების მინიჭების კრიტერიუმები უნდა მოიცავდეს აკადემიური წერის სტილის გამოყენებას, წყაროების სათანადო ციტირებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს.
12. გირჩევთ, რომ სამაგისტრო დონის სასწავლო კურსებზე წერთი სამუშაოს მოცულობა შეესაბამებოდეს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ კრედიტებს.
13. სტუდენტების კითხვარებიდან მიღებული ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი უფრო ინფორმაციულად, რათა საზოგადოებამ იცოდეს სტუდენტების აზრი და შეძლოს თვალყური ადევნოს პროგრესს სტუდენტების შეთავაზებების საფუძველზე.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)^[1]**

არ მიესადაგება

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების შესახებ :**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნივერსიტეტი ინფორმირებულ იქნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის შინაარსის შესახებ. მან თავის მხრივ აცნობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომ იგი იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში წარმოდგენილ რეკომენდაციების უმრავლესობას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებული ყველა რეკომენდაციის სრულიად გამჭვირვალე არგუმენტაციისთვის, გადაწყდა, რომ ამ ნაწილში პირველ რიგში შევიტანოთ უმაღლესი სასწავლო დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია (ნაწილი I) და განვმარტოთ მიზეზი, რატომ იძლევა ექსპერტი იმ რეკომენდაციებს, რომლებსაც არ იზიარებს უმაღლესი სასწავლო დაწესებულება თავის არგუმენტირებულ პოზიციაში (ნაწილი II).

რეკომენდაცია 1. უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ქართულ ფილოლოგიაში, როგორც უმაღლესი განათლების ერთ-ერთი მთავარი დოკუმენტი, ყველა ასპექტით ზედმიწევნით უნდა იყოს დაცული. დარგობრივი მახასიათებელი აღწერს სწავლის სფეროს, სწავლის შედეგებს, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდებს და სხვა დამატებით ინფორმაციას.

პასუხი: საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ უმაღლესი განათლების ერთ-ერთი მთავარი დოკუმენტი, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ქართულ ფილოლოგიაში, საფუძვლიანად იქნა შესწავლილი და სახელმძღვანელოდ გამოყენებული როგორც სწავლის სფეროს, სწავლის შედეგების, ისე სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებისას. აქვე უნდა ითქვას, რომ, როგორც ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრი, ქართული ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებაში მონაწილეობდა

ქართული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება 218232, 11/03/2021).

რეკომენდაცია 2. სამაგისტრო პროგრამა - „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“ მიესადაგოს უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს ქართულ ფილოლოგიაში. მახასიათებელში მითითებულია, რომ მეგრული, ლაზური, სვანური ენებია და არა ქართველური ენა-დიალექტები (მეგრულ-ლაზური, სვანური), როგორც ეს მითითებულია სასწავლო პროგრამაში- ქართული (ქართველური ლინგვისტიკა).

პასუხი: „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამაში წარმოდგენილი ტერმინოლოგია (ქართველური ენა-კილოები, ქართველური ქვესისტემები, ქართველური დიალექტები) თანამედროვე ქართულ სამეცნიერო სივრცეში აქტიურად გამოიყენება და ცნობილია სპეციალისტებისათვის. აქედან გამომდინარე, ჩვენც ისინი გამოვიყენეთ, როგორც ახალი ხედვებისა და მიდგომების გამომხატველი ტერმინები, თუმცა ტერმინოლოგიურმა მრავალფეროვნებამ გარკვეული ბუნდოვანება წარმოქმნა და აღქმულ იქნა დარგობრივ მახასიათებელთან შეუსაბამობად. აღნიშნული გაუგებრობა გარკვეულწილად იმანაც განაპირობა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებული ტერმინი „ქართველური ენები“ დარგობრივ მახასიათებელში ნახსენები არ არის. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვითვალისწინებთ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს და სასწავლო პროგრამაში მოვახდინებთ ტერმინოლოგიის კორექტირებას, უფრო მეტად მივუსადაგებთ ქართულ ფილოლოგიაში უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, რაც შესაბამისად აისახა „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში, სასწავლო კურსების სახელწოდებებსა და სილაბუსებში, ასევე, სხვა დოკუმენტებში (სასწავლო კურსების შინაარსობრივი მხარე არსებით ცვლილებას არ საჭიროებს).

რეკომენდაცია 3. სილაბუსებში უნდა შევიდეს უახლესი პუბლიკაციები და შეიცვალოს რუსულ ენაზე წარმოდგენილი უფრო ძველი გამოცემები.

პასუხი: რეკომენდაციის გათვალისწინებით სილაბუსებიდან ამოღებულ იქნა რუსულენოვანი გამოცემები. რაც შეეხება უახლეს პუბლიკაციებს, ამ მიმართულებით სილაბუსების შევსება წარიმართება პერმანენტულად.

რეკომენდაცია 4. მიზანშეწონილია, რომ ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა ქართველური ლინგვისტიკის ნაწილში მოიცავდეს დარგის აღიარებულ სამეცნიერო ტენდენციებს და მიმართულებებს.

პასუხი: „ფილოლოგიის“ სადოქტორო პროგრამაში ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით წარმოდგენილი სასწავლო კურსები მოიცავს დარგის შესაბამის სამეცნიერო ტენდენციებსა და მიმართულებებს. ამას მოწმობს სილაბუსებში მოცემული თემატიკა და მითითებული სამეცნიერო ლიტერატურა.

რეკომენდაცია 5. მიზანშეწონილია სასწავლო კურსი „ქართული დიალექტოლოგია“ შეესაბამებოდეს დარგობრივ მახასიათებელს.

პასუხი: რეკომენდაციის საფუძველზე სასწავლო კურსის სახელწოდება „ქართული ენის

დიალექტოლოგია“ დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით დაზუსტდა ამგვარად: „ქართული დიალექტოლოგია“. სასწავლო კურსის შინაარსში შევიდა მცირე ცვლილება: რამდენადაც სასწავლო კურსი მიზნად ისახავს ქართული ენის დიალექტების შესწავლას, ამდენად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სილაბუსში წარმოდგენილი საკითხებიდან მეგრულ-ლაზურისა და სვანურის დახასიათების ამოღება.

რეკომენდაცია 6. რეკომენდებულია ქართული დიალექტებისა და ქართველური ენების სტატუსის დადგენა საბაკალავრო სასწავლო პროგრამის „ქართული ენა და ლიტერატურა“ ფარგლებში და სტუდენტური პრაქტიკის განხორციელებისას ყურადღება მიექცეს აღნიშნულ გარემოებებს.

პასუხი: კურსი ითვალისწინებს ქართული ენის დიალექტების შესწავლას, ამდენად, დიალექტოლოგიური პრაქტიკაც ქართული დიალექტური ტექსტების ჩაწერა-დამუშავებას მოიცავს. რაც შეეხება ენისა და დიალექტის მიმართების/სტატუსის საკითხს, ის ზოგადთეორიულ საკითხად განიხილება და სტუდენტებს მიეწოდებათ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების სახით.

რეკომენდაცია 7. ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამაში „ქართული ენა და ლიტერატურა“ რეკომენდებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში თემატური გადაფარვების თავიდან აცილება.

პასუხი: დასკვნის პროექტში აღწერის ნაწილში რეკომენდაციასთან კავშირში განხილულია სასწავლო კურსები „ქართული ფოლკლორი“ და „ქართული მითოლოგია“. გვინდა აღვნიშნოთ, რომ „ქართული ფოლკლორი“ სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსია, ხოლო „ქართული მითოლოგია“ – ამავე სფეროს არჩევითი კურსი. აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსები შეიცავდა ორიოდ თანმხვედრი საკითხის ზოგად მიმოხილვას და, შესაბამისად, ფოლკლორულ ან მითოლოგიურ ასპექტებზე აქცენტირებას, თუმცა გათვალისწინებულ იქნა აღნიშნული რეკომენდაცია, კიდევ ერთხელ გადამოწმდა ორივე კურსის სილაბუსი და შევიდა შესაბამისი ცვლილებები, რის შედეგადაც მაქსიმალურად გამოირიცხა შესასწავლ საკითხთა გადაფარვის შესაძლებლობები.

რეკომენდაცია 8. სასწავლო კურსი „ქართული ლიტერატურა ინტერნეტ სივრცეში“ უნდა გადამუშავდეს ისე, რომ დაზუსტდეს მისი მიზნები და შესაბამისობა სწავლის შედეგებთან.

პასუხი: „ქართული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსში „ქართული ლიტერატურა ინტერნეტსივრცეში“ შემოთავაზებული რეკომენდაციის თანახმად, დაზუსტდა კურსის მიზნებთან სწავლის შედეგების შესაბამისობა, ასევე, დაკონკრეტდა კურსის შინაარსი.

რეკომენდაცია 9. რეკომენდებულია სასწავლო კურსების სახელები და შინაარსი შეესაბამებოდეს სფეროში დადგენილ ტერმინოლოგიას, რათა თავიდან იქნას აცილებული სამეცნიერო კვლევის გაურკვევლობა და მარგინალიზაცია.

პასუხი: აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სახელწოდებები მივუსადაგეთ დარგობრივი მახასიათებლის ტერმინოლოგიას. შესაბამისად, ცვლილებები აისახა სასწავლო კურსების სილაბუსებში (ცვლილებების ამსახველი მასალა იხილეთ თანდართულ დოკუმენტაციაში).

„ფილოლოგიის“ სადოქტორო პროგრამაში ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით წარმოდგენილ სასწავლო კურსებში განხორციელებული ცვლილებებისათვის იხილეთ რეკომენდაცია 11-ის პასუხი.

რეკომენდაცია 10. საჭიროა დაიხვეწოს ინგლისურ ენაზე სავალდებულო ბიბლიოგრაფიის სტანდარტები, განსაკუთრებით სამაგისტრო პროგრამისთვის "ლინგვისტიკა" და სადოქტორო პროგრამისთვის „ფილოლოგია“ და მოიცვას სავალდებულო ბიბლიოგრაფია ინგლისურ ენაზე.

პასუხი: რეკომენდაცია, ძირითადად, მისაღებია, მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვრა უცხო ენის გამოცდის ჩაბარება ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენაზე. შესაბამისად, სავალდებულო ლიტერატურის მხოლოდ ინგლისურ ენაზე მიწოდება შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი.

რეკომენდაცია 11. რეკომენდებული სასწავლო კურსები „საერთო ქართველური ენისა და ქართველური ქვესისტემების ფონემიკური სტრუქტურა (ისტორიული დინამიკა)“, „ქართული ტრილიტერატურული ენის გრამატიკის აქტუალური საკითხები (ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებაში)“ უნდა გადამუშავდეს ისე, რომ შეესაბამებოდეს ტერმინოლოგიას, რომელიც მიღებულია ენათმეცნიერების სფეროში.

პასუხი: რეკომენდაციის გათვალისწინებით, სასწავლო კურსების სახელწოდებები დაზუსტდა ამგვარად: 1. „საერთოქართველური ენისა და ქართველური ქვესისტემების ფონემიკური სტრუქტურა (ისტორიული დინამიკა)“ შეიცვალა სახელწოდებით „ქართველური ენათმეცნიერების აქტუალური საკითხები 1“, 2. ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკის აქტუალური საკითხები (ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებით)“ შეიცვალა

რეკომენდაცია 12. რეკომენდებულია სასწავლო კურსი „ლინგვოკულტუროლოგიის“ გადახედვა და დოქტორანტურის შესაბამისი შინაარსისა და უახლესი ლიტერატურის შეტანა.

პასუხი: გერმანიის ინსტიტუტთაშორისი პარტნიორული პროგრამის ფარგლებში და მისივე დაფინანსებით, უნივერსიტეტში ჩამოვიდა ამ მიმართულებით 2015 წლიდან ყველა არსებული უახლესი გამოცემა, რომელიც არ იყო ექსპერტთა ვიზიტის დროს კატალოგიზირებული და, შესაბამისად, არ აისახა სილაბუსებში. ამჟამად ეს პრობლემა მოგვარებულია.

რეკომენდაცია 13. სასურველია სასწავლო კურსი „ლინგვოკულტუროლოგიის“ სათაური შეიცვალოს, როგორც „ენა და კულტურა“.

პასუხი: ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სასწავლო კურსის სახელწოდება „ლინგვოკულტუროლოგია“ ჩამოყალიბდეს ამგვარად: „ენისა და კულტურის მიმართების საკითხები“.

რეკომენდაცია 14. აკადემიური წერა უნდა გაუმჯობესდეს ბაკალავრიატის დონეზე.

პასუხი: ბაკალავრიატში „აკადემიური წერა“ ისწავლება პირველ სემესტრში და სტუდენტს აძლევს სამეცნიერო სივრცის გაცნობის შესაძლებლობას, უმუშავებს აკადემიური მუშაობის ტექნიკას, რაც საჭიროებს სხვადასხვა სახის სამუშაოს შესრულებას. შესაბამისად, კურსი ითვალისწინებს მრავალფეროვან დავალებებსა და შეფასებებს: წყაროების ტიპიზაციას, მოძიებას, მათ დახარისხებას, თეზისის ფორმულირებას, არგუმენტირების სქემათა შედგენას,

ასეთი კომპონენტური დავალებები უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის წერითი ნაშრომის (ესე, არგუმენტირებული ნაშრომი, რეფერატი...) შესრულებას. 5-ქულიანი ესე ერთ-ერთი შეფასებაა მხოლოდ. სტუდენტი სავალდებულო წერით ნაშრომს კურსის ფარგლებში ამზადებს რამდენიმეჯერ (იღებს შესაბამის შეფასებას), მათ შორის, ფინალურ გამოცდაზეც. საგამოცდო ფორმატი მიზანმიმართულად კომბინირებული დავალებებისგან შედგება, რათა სტუდენტმა შეძლოს კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნის თეორიული დადასტურება და წერითი უნარის პრაქტიკულად გამომჟღავნება მის მიერ შექმნილი ნაშრომის სახით. „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსით მიღებული ცოდნისა და შექმნილი წერითი უნარების განვითარება/რეალიზება გრძელდება საბაკალავრო კურსებით გათვალისწინებული წერითი ნაშრომების შექმნისას. როგორც თავად ექსპერტებიც აღნიშნავენ, ასეთი ნაშრომები გათვალისწინებულია სასწავლო კურსების უმრავლესობაში. ამდენად, აკადემიურ წერას საბაკალავრო დონეზე დიდი ყურადღება ექცევა. იგი მუდმივად იხვეწება და მომავალშიც ორიენტირებული იქნება სათანადო შედეგების მიღებაზე.

რეკომენდაცია 15. სამაგისტრო ნაშრომებში უნდა დაიხვეწოს ნაშრომის დიზაინი და სტრუქტურა, სამეცნიერო ტერმინოლოგია.

პასუხი: სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი და სტრუქტურა განსაზღვრულია აწსუ-ში მოქმედი - „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესით“ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №38 (20/21), 15.07.2021), ხოლო ციტირების წესი ეფუძნება ჩიკაგოს სტილს (აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №73 (19/20)).

რეკომენდაცია 16. რეკომენდებულია სადოქტორო ნაშრომი შეიქმნას თანამედროვე კვლევის დიზაინის შესაბამისად.

პასუხი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტში წერითი ნაშრომების გაფორმებისა და ციტირების წესი ეფუძნება ჩიკაგოს სტილს და ამ სტანდარტით ხდება სადოქტორო ნაშრომების გაფორმება (აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №73 (19/20)).

რეკომენდაცია 17. სადოქტორო ნაშრომებს თან უნდა ერთვოდეს რეზიუმეები ინგლისურ ენაზე.

პასუხი: რეკომენდაციას გავითვალისწინებთ.

რეკომენდაცია 18. სამაგისტრო პროგრამაზე „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“ სწავლებისა და სწავლის მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს დარგობრივ მახასიათებლებს და უზრუნველყოფდეს მათ მიღწევას.

პასუხი: „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამაში გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების ძირითადი მეთოდები, რომლებიც შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელების პროცესში არ გამოვრიცხავთ დამატებითი მეთოდების გამოყენებას.

რეკომენდაცია 19. დაწესებულებამ უნდა წახალისოს აკადემიური პერსონალი, გამოაქვეყნოს სტატიები დოქტორანტებთან ერთად. დოქტორანტებისთვის სასარგებლო იქნება მათი ხელმძღვანელის რჩევები კვლევით პუბლიკაციებში. ეს გამოიწვევს მაღალი ხარისხის პუბლიკაციებს უნივერსიტეტის სახელით.

პასუხი: სამეცნიერო ხელმძღვანელები ცდილობენ, მაქსიმალურად იმუშაონ დოქტორანტებთან მაღალი დონის პუბლიკაციების გამოსაქვეყნებლად და ერთობლივი პუბლიკაციების პრეცედენტებიც საკმაოდ არსებობს, მაგალითად, ქართველური ენათმეცნიერების, დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის მიმართულებით. ამავე დროს, დოქტორანტები ჩართული არიან ერთობლივი მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების გამოცემაში. მაგალითად, გამოიცა სახელმძღვანელო „მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთევროპის ისტორია“, რომელზეც, პროფესურასთან ერთად, იმუშავა 9 დოქტორანტმა; დაიბეჭდა მონოგრაფია „თომას მანის „დოქტორი ფაუსტის მითოპოეტიკა“ პროფესორ ნ. კაკაურიძისა და დოქტორანტ ნ. ხიმშიაშვილის ავტორობით. დოქტორანტები ჩართული არიან სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, მაგალითად, პროექტში „XV-XVIII საუკუნეების ლათინურენოვანი ძველნაბეჭდები“ დარგის სპეციალისტებთან ერთად იკვლევენ აწსუ არქივში დაცულ, სრულიად შეუსწავლელ უნიკალურ მასალას); ფორმაუცვლელ სიტყვათა გერმანულ-ქართული ლექსიკონის (იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი) შედგენაში მონაწილეობას იღებდა 4 დოქტორანტი. დოქტორანტები ყოველთვის არიან ჩართული აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში არა მხოლოდ როგორც მონაწილეები, არამედ როგორც საორგანიზაციო კომიტეტის წევრები და სხვა.

რეკომენდაცია 20. „ქართულ (ქართველურ) ლინგვისტიკაში“ და „ლინგვისტიკაში“ აკადემიური პერსონალი არ არის საკმარისი რაოდენობის, რადგან სამაგისტრო დონეზე პროგრამების ხელმძღვანელები უძღვებიან ძალიან ბევრ კურსს, რომელიც დაბალანსებული უნდა იყოს საგნებისა და სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად.

პასუხი: „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მოცემულ ეტაპზე სრულად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას. პროგრამის ხელმძღვანელთა ავტორობით წარმოდგენილი ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსები იკითხება სხვადასხვა სემესტრში და პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, მათ უძღვება აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რითაც ბალანსდება განმახორციელებელი პერსონალის თანაფარდობა საგნებისა და სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად.

რეკომენდაცია 21. მისაღები მსგავსების ქულა (პროგრამიდან Turnitin) არ უნდა იყოს მითითებული პლაგიატის საკითხებთან და პოლიტიკასთან დაკავშირებულ დოკუმენტში. ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის ყველა ნაშრომში მსგავსებისა და პლაგიატის შესახებ შემთხვევები უნდა გაანალიზდეს და განიხილებოდეს ინდივიდუალურად და უკუკავშირის მიწოდებით, რამდენადაც პლაგიატის წილი ნაშრომში შეიძლება მსგავსების დაბალი პროცენტით გამოვლინდეს.

პასუხი: ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამით გათვალისწინებულ წერით ნაშრომებში მსგავსებისა და პლაგიატის შემთხვევები განიხილება ინდივიდუალურად და უკუკავშირის მიწოდებით. ემპირიული მასალის სპეციფიკა, თეორიული მსჯელობის საჭიროება მსგავსების სხვადასხვა დონეს განაპირობებს. ყველა საფეხურის სტუდენტს დეტალურად მიეწოდება ინფორმაცია პლაგიატის შემთხვევების შესახებ. მსგავსების მისაღები მაჩვენებლის დასახელება მხოლოდ ზოგადი მითითებაა მსგავსების შესაძლო დაშვების შეზღუდვის გამო, რაც, ასევე, აკადემიური სტანდარტის შესაბამისია.

რეკომენდაცია 22. აუცილებელია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის ხელმძღვანელს მისცეს მკაფიო რეკომენდაციები, რათა პროგრამა შესაბამისობაში იყოს დარგობრივ მახასიათებელთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პასუხისმგებელ პირს უნდა აჩვენოს ამ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამისი რისკის წარმოშობის ფაქტი.

პასუხი: აწსუ-ს და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ქართულ ფილოლოგიაში დეტალურად იქნა განხილული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკრედიტაციისთვის პროგრამების მომზადებაზე პასუხისმგებელ ჯგუფთან. ამ პროცესში ჩართული იყო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ქართული ენა და ლიტერატურა“ ხელმძღვანელი, რომელიც არის ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრი და მონაწილეობდა ქართული ფილოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებაში. შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელები ფლობდნენ ინფორმაციას პროგრამების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობის მნიშვნელობის შესახებ და მათ მიერ, მუშა ჯგუფთან ერთად, კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები მომზადდა აკრედიტაციის სტანდარტებისა და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების მაქსიმალური გათვალისწინებით.

რეკომენდაცია 23. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გასცეს უფრო მკაფიო რეკომენდაციები პროგრამაზე მუშაობისას გარე შემფასებლის მიერ გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებით, აჩვენოს პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს, ამ ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა და მათი გათვალისწინებლობის შემთხვევაში, შესაბამისი გარემოებების რისკი.

პასუხი: აწსუ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტაციისთვის მზადების პროცესში გადიან გარე კოლეგიალურ შეფასებას, რომლის დროსაც პროგრამები (კურიკულუმი და სილაბუსები)შესაფასებლად ეგზავნება დარგის სპეციალისტს. გარე კოლეგიალური შეფასებით გაცემული რეკომენდაციების შესრულება არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი რეკომენდაციები. გარე კოლეგიალური შეფასებით მიღებული რეკომენდაციები ყოველთვის განიხილება პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის მუშა ჯგუფისა და პროგრამის განმხორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით და ხშირად არის კრიტიკული მსჯელობის საგანი. ხშირ შემთხვევაში რეკომენდაციები სრულად აისახება პროგრამებში, მაგრამ იმ

შემთხვევაში, როდესაც პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან ერთად არ ეთანხმება და აქვს არგუმენტირებული პოზიცია რიგ რეკომენდაციებთან დაკავშირებით მათი გათვალისწინება არ ხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებულ იქნა ნაწილობრივ, კერძოდ, გარე შემფასებლის მოსაზრება რამდენიმე ტერმინთან დაკავშირებით, ხოლო ზოგიერთ მათგანზე, რომლებიც სამეცნიერო წრეებში ჯერჯერობით არ არის ოფიციალურად აღიარებული და დადგენილი, დარგის სპეციალისტებმა მათ შესრულებაზე თავის შეიკავეს.

ნაწილი II

ექსპერტთა ჯგუფი ხაზს უსვამს თითოეული გაცემული რეკომენდაციის (1-23) მნიშვნელობას.

ქვემოთ მოყვანილ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომლებსაც უსდ არ ეთანხმება არგუმენტირებულ პოზიციაში, ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით შეიმუშავა შემდეგი:

რეკომენდაცია 19 (დამატებითი არგუმენტაცია): სტუდენტების სხვადასხვა კვლევით აქტივობებში ჩართვის საილუსტრაციოდ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ რამდენიმე მაგალითი წარმოადგინა. მოსალოდნელია, რომ ეს ვალდებულება თითქმის ყველა სტუდენტს ჰქონდეს და არა რამდენიმე მათგანს. ეს მაგალითები გამორჩეული კი არ უნდა იყოს, არამედ - ჩვეულებრივი პრაქტიკა, რადგან ეს გააუმჯობესებს კვლევის ხარისხს და გააძლიერებს უსდ-ის პოზიციას.

რეკომენდაცია 20 (დამატებითი არგუმენტაცია): უსდ-ში აცხადებენ, რომ მოწვეული პერსონალი შეიძლება ჩაერთოს სასწავლო პროგრამების განხორციელებაში, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პროცესში ჩართული ყველა მხარისთვის (სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, უსდ) უკეთესი იქნება, თუკი პროგრამების ხელმძღვანელები არ გაუძღვებიან ამდენ კურსს. ეს გააუმჯობესებს პროგრამების ხარისხს, მაგრამ ასევე დატოვებს მეტ სივრცეს სამეცნიერო კვლევებისთვის, რადგან უნივერსიტეტები არ არიან მხოლოდ სასწავლო დაწესებულებები.

რეკომენდაცია 21 (დამატებითი არგუმენტაცია): ზოგადად, პროგრამული უზრუნველყოფა „ტურნიტინი“ (Turnitin) სანდოა ტექსტზე დაფუძნებული პლაგიატის აღმოსაჩენად, რადგან ის წარმოდგენილ ნამუშევრებს ადარებს აკადემიური მასალების, ინტერნეტ წყაროებისა და ადრე წარდგენილი სტუდენტური ნამუშევრების უზარმაზარ მონაცემთა ბაზას. თუმცა, მის სანდოობაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ფაქტორებმა, როგორცაა მონაცემთა ბაზაში არსებული საწყისი მასალის ხარისხი და ინსტრუქტორის მიერ მორგების დონე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ტურნიტინი“ არ არის აბსოლუტურად უშეცდომო და არ იძლევა 100% სიზუსტის გარანტიას პლაგიატის შემთხვევების გამოვლენაში. მნიშვნელოვანია მისი გამოყენება აკადემიური კეთილსინდისიერების მხარდასაჭერადაც და არა მხოლოდ დაყრდნობა მასზე, როგორც პლაგიატის იდენტიფიცირების ერთადერთ საშუალებაზე. საბოლოო ჯამში, „ტურნიტინის“ საიმედოობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოიყენება იგი, ასევე, წყაროს მასალის ხარისხზე და ინსტრუქტორის მიერ მორგების დონეზე.

რეკომენდაცია 22 (დამატებითი არგუმენტაცია): პროგრამის შეფასებისას და ინტერვიუების დროს დარგის ექსპერტებმა აღმოაჩინეს გარკვეული შეუსაბამოებები დარგობრივ მახასიათებელთან.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ, დარგობრივი მახასიათებლის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პასუხისმგებელ პირს უნდა აჩვენოს შესაბამისი რისკის წარმოშობის ფაქტი.

რეკომენდაცია 23 (დამატებითი არგუმენტაცია): ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება და იზიარებს გარე შეფასებისას შემოთავაზებულ არგუმენტებს და რეკომენდაციას უწევს მათ გათვალისწინებას. ფაქტია, რომ უსდ-მ არ გაითვალისწინა რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი რეკომენდაცია გარე შეფასების ანგარიშიდან. ჯგუფი ხაზს უსვამს, რომ ეს რეკომენდაციები ძალიან მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარებისთვის.

• **ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მიღწევების და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (თუ ეს შესაძლებელია)**

1. კლასტერში დაჯგუფებულმა პროგრამებმა გაიარეს განახლება;
2. განახლდა სილაბუსების ლიტერატურა;
3. შეიცვალა უცხო ენების სილაბუსები;
4. კლასტერად დაჯგუფებულ პროგრამებში სტუდენტების შეფასების სისტემა შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის No3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გამოთვლის წესით“ განხორციელებულ ცვლილებებთან.
5. შეიქმნა ინსტრუმენტი სემესტრის განმავლობაში სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოსა და მის მიერ შეძენილი კომპეტენციების ადეკვატურად შესაფასებლად.
6. განისაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნულები, შემუშავდა სასწავლო გეგმის რუკა.
7. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას დაემატა უცხო ენის გამოცდა, უცხოელი სტუდენტების სადოქტორო პროგრამაზე მისაღებ წინაპირობას - ქართული ენის გამოცდა.

აკრედიტაციის ექსპერტების შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომის გამოყენებით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება³
2. კლასტერული შეფასება⁴

სტანდარტი/კომპონენტი:	შეფასების მიდგომები
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერი
1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5. აკადემიური კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერი
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერი
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერი
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები	კლასტერი

³ შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁴ შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერი
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერი
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;	კლასტერი
5.2. გარე ექსპერტების შეფასებები;	კლასტერი
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერი

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამით მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან სასწავლო სფეროსთან და ვითარდება უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურების მიხედვით.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია და განსაზღვრავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების კომპლექსს, რომელსაც პროგრამა მიზნად ისახავს რომ განავითაროს სტუდენტებში. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ პროგრამის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები ძირითადად იზიარებს ერთსა და იმავე სფეროს, რაც უზრუნველყოფს თემატურ თავსებადობას და სათანადოდ არის დიფერენცირებული მრავალფეროვანი დისციპლინური მიდგომებით, რაც მიზნად ისახავს ეტაპობრივი პროგრესის უზრუნველყოფას ზოგადი მონახაზებიდან ლინგვისტური და ლიტერატურის საგნების სიღრმისეულ ანალიზამდე და შესაბამისი უნარების განვითარებას.

მიზნები შეესაბამება ინსტიტუციურ მისიას და სტრატეგიულ გეგმას, ასევე სიცხადისა და მიღწევადობის შესაბამის კრიტერიუმებს. ისინი ძირითადად შეესაბამება უმაღლესი განათლების ზოგადად და კონკრეტულ სასწავლო დონეებს. საზოგადოებისთვის მოსალოდნელი წვლილი სათანადოდ არის აღწერილი და დასაბუთებული; დაწესებულებამ კარგად იცის კურსდამთავრებულთა პოტენციური ინტეგრაცია შრომის ბაზარზე. თუმცა, ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, როგორც უმაღლესი განათლების ერთ-ერთი საკვანძო დოკუმენტი, სკრუპულოზურად უნდა იქნას დაცული ყველა ასპექტში. დარგობრივი მახასიათებელი აღწერს სწავლის სფეროს, სწავლის შედეგებს, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდებს, ასევე სხვა დამატებით ინფორმაციას.

პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები მიიღწევა ძირითადი კურსებით, რომლებიც საფუძვლად უდევს სტუდენტების პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას. სასწავლო პროგრამები გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებგვერდზე ქართულ ენაზე.

ინტერვიუების დროს მონაწილე ყველა დაინტერესებულმა მხარემ აჩვენა, რომ კარგად აცნობიერებენ ინსტიტუციურ მიზნებს და აცნობიერებენ მათ როლს ზოგად სტრატეგიაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა „ქართული ენა და ლიტერატურა“)⁵
პროგრამის მიზნები არის მკაფიო, რეალისტური და მიღწევადი; პროგრამაში აღწერილია, თუ როგორ უწყობს ხელს ის საზოგადოების განვითარებას. საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს საბაზისო თეორიული და არსებითი ცოდნა ქართულ ენასა და ლიტერატურაში; ასწავლოს სტუდენტებს ქართული ენის, ზოგადი ენათმეცნიერების, ლექსიკოლოგიის, დიალექტოლოგიის, ქართული ლიტერატურის, ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი საკითხები; გამოუმუშაოს ენათმეცნიერების ძირითადი საკითხების, ქართული ენის ისტორიის, ლიტერატურის თეორიისა და ლიტერატურის ისტორიის კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ანალიზის უნარი; ჩამოუყალიბოს დარგის პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრის უნარი.

საბაკალავრო პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია, რასაც ადასტურებს უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია. საბაკალავრო სასწავლო პროგრამის - ქართული ენა და ლიტერატურა - მიზნებს იზიარებენ პროგრამაში ჩართული პირები, რაც დასტურდება ინტერვიუებით. პროგრამა ითვალისწინებს არსებული შრომის ბაზრის, დამსაქმებლის მოთხოვნებს და ამზადებს კონკურენტუნარიან სპეციალისტს შესაბამისი უნარებით. საბაკალავრო პროგრამის „ქართული ენა და ლიტერატურა“ მიზანი ძირითადად შეესაბამება დარგის დეტალური აღწერის მოთხოვნებს, კვალიფიკაციის მე-9 საფეხურს და ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამა და სილაბუსები (ყველა დანართი, სავალდებულო და არჩევითი კურსების ჩათვლით);
- ინტერვიუ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მენეჯმენტთან, პერსონალთან და სტუდენტებთან;

⁵ აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

- უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ქართულ ფილოლოგიაში;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი [https://www.Akaki Tsereteli State University.edu.ge](https://www.AkakiTsereteli State University.edu.ge)

პროგრამა 2 (სამაგისტრო პროგრამა „ქართული ლიტერატურა“)

სამაგისტრო პროგრამის „ქართული ლიტერატურა“ მიზანი შეესაბამება დარგის დეტალური აღწერის მოთხოვნებს, კვალიფიკაციის მე-7 საფეხურს და ქართული ფილოლოგიური უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს.

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მიზანია ამ სფეროში ღრმა, სისტემატური და ახალი ცოდნის გადაცემა, ქართული ლიტერატურის პროცესისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი ტენდენციების, ლიტერატურული ტექსტებისა და ლიტერატურის თეორიების სწავლება; ქართული ლიტერატურის კულტურულ კონტექსტში დამახასიათებელი ნიშნებისა და პრობლემური საკითხების სწავლება და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება. პროგრამის მიზნები განიხილავს სწავლის სფეროს, დონის და საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას და განსაზღვრავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც პროგრამა ისახავს მიზნად კურსდამთავრებულ სტუდენტებში. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავს პროგრამის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. სამაგისტრო პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია, რასაც მოწმობს უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია. ჩატარებულ ინტერვიუებში დადასტურდა, რომ ამ სამაგისტრო პროგრამის მიზნებს იზიარებს პროგრამაში ჩართული ყველა მხარე. ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის მიზნები შეესაბამება ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგის მახასიათებლებს, არის რეალისტური და მიღწევადი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამა და სილაბუსები (ყველა დანართი, სავალდებულო და არჩევითი კურსების ჩათვლით);
- ინტერვიუ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მენეჯმენტთან, პერსონალთან და სტუდენტებთან;
- უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ქართულ ფილოლოგიაში;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი [https://www.Akaki Tsereteli State University .edu.ge](https://www.AkakiTsereteli State University .edu.ge)

პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა „ლინგვისტიკა“)

აღწერა და ანალიზი - სამაგისტრო პროგრამა „ლინგვისტიკა“.

„ლინგვისტიკის“ სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება დარგის დეტალური აღწერის მოთხოვნებს, კვალიფიკაციის მე-7 საფეხურს და ქართული ფილოლოგიური უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური ლინგვისტის მომზადებას. პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მიზანია ქართული ლიტერატურის პროცესისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი ტენდენციების, ლიტერატურული ტექსტების და ლიტერატურის თეორიების, ქართული ლიტერატურის დამახასიათებელი ნიშნებისა და პრობლემური საკითხების სწავლება კულტურულ კონტექსტში და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს სპეციფიკას, დონეს და საგანმანათლებლო პროგრამას და განსაზღვრავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც პროგრამა ისახავს მიზნად კურსდამთავრებულ სტუდენტებში. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ პროგრამის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სამაგისტრო პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია, რასაც ადასტურებს უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია. ამ სამაგისტრო პროგრამის მიზნებს იზიარებენ პროგრამაში ჩართული პირები, რაც დასტურდება ინტერვიუებით. ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამა და სილაბუსები (ყველა დანართი, სავალდებულო და არჩევითი კურსების ჩათვლით);
- ინტერვიუ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მენეჯმენტთან, პერსონალთან და სტუდენტებთან
- უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ქართულ ფილოლოგიაში;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი [https://www.AkakiTsereteli State University .edu.ge](https://www.AkakiTsereteliStateUniversity.edu.ge)

პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“)

„ქართული (ქართველური) ლინგვიტიკის“ სამაგისტრო პროგრამის მიზანი მორგებული უნდა იყოს ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგის დეტალური აღწერის, კვალიფიკაციის მე-7 საფეხურის და დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებთან.

სასწავლო პროგრამაში მითითებულია, რომ სამაგისტრო პროგრამის მიზნებია: სტუდენტებს მიაწოდოს ქართველური ენების ფონეტიკური სისტემის, მორფოლოგიური სტრუქტურის, სინტაქსური კონსტრუქციისა და მექანიზმის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა (ლიტერატურული ენა და ქართველური დიალექტები); ქართულ ტერიტორიულ დიალექტებსა და ქართულ სალიტერატურო ენობრივ სისტემას შორის ურთიერთობის ასპექტები (თანამედროვე ლინგვისტური კვლევების კონტექსტში); პროგრამის მიზანია სტუდენტთა ცოდნის გაღრმავება ქართული ენობრივი სამყაროს ისტორიაში; აკადემიური ცოდნის გადაცემა ქართული ენის ფონეტიკა-ფონოლოგიაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში და ქართული სალიტერატურო ენის სტანდარტიზაციის თეორიული და პრაქტიკული საკითხების კვლევა. აღნიშნულია, რომ კურსდამთავრებულები გამოავლენენ ქართული სალიტერატურო ენის ღრმა და სისტემატურ ცოდნას და ქართველური ენა-დიალექტების (მეგრულ-ლაზური, სვანური) ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკური სტრუქტურების ფუნქციონირებას.

ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში აღნიშნულია, რომ ქართული ფილოლოგიის სასწავლო დარგი უვითარებს სტუდენტს ტექსტის ანალიზის, კრიტიკული გაგების, კონტექსტუალიზაციის, კომენტირებისა და ინტერპრეტაციის უნარს; ასწავლის ქართული ენის სტრუქტურას ან/და მასთან ერთად მეგრულ, ლაზურ, სვანურ ენებს. ექსპერტთა ჯგუფი ხაზს უსვამს, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ პატივი უნდა სცეს დარგობრივ მახასიათებლებს და შესაბამისად მათ მოარგოს სასწავლო პროგრამები. სასწავლო პროგრამებში გამოყენებული ტერმინოლოგია უნდა შეესაბამებოდეს დარგობრივ მახასიათებელს. მახასიათებელში ნათლად არის მითითებული, რომ სამაგისტრო პროგრამის დასრულებისას, კურსდამთავრებულს აქვს ღრმა, სისტემატური ცოდნა ქართველური ენათმეცნიერების შესახებ, რომელიც მოიცავს მასთან ერთად ქართული ან/და მეგრული, ლაზური, სვანური ენების სტრუქტურისა და ფუნქციონირების საკითხებს; ქართველური დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის და ლექსიკოგრაფიის თემებს. მახასიათებელში გამოყენებულია მეგრული, ლაზური, სვანური ენები და არა ქართველური ენა-დიალექტები (მეგრულ-ლაზური, სვანური), როგორც ეს აღნიშნულია სასწავლო პროგრამა „ქართულ (ქართველური) ლინგვისტიკაში“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამა და სილაბუსები (ყველა დანართი, სავალდებულო და არჩევითი კურსების ჩათვლით);

- ინტერვიუ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მენეჯმენტთან, პერსონალთან და სტუდენტებთან
- უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ქართულ ფილოლოგიაში;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი [https://www.AkakiTsereteli State University .edu.ge](https://www.AkakiTsereteliStateUniversity.edu.ge)

პროგრამა 5 („ფილოლოგიის“ სადოქტორო პროგრამა)

"ფილოლოგიის" სადოქტორო პროგრამის მიზანი შეესაბამება კვალიფიკაციის მე-8 საფეხურის მოთხოვნებს და დარგის დეტალურ აღწერას. ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია დოქტორანტების ფილოლოგიის უახლესი მიღწევებით უზრუნველყოფა; ქართული სამეცნიერო სფეროს ამაღლების, მსოფლიო კულტურისა და ქართული მეცნიერების კონტექსტში კვლევის ჩატარების უნარის გამომუშავება და მათი კვლევების ინტეგრირება საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში. ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, დარგის დეტალურ აღმწერს და მინიჭებულ კვალიფიკაციას.

სადოქტორო პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია, რასაც მოწმობს უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია. „ფილოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის მიზნებს იზიარებენ პროგრამაში ჩართული პირები, რაც დასტურდება ინტერვიუებით. პროგრამა ითვალისწინებს არსებული შრომის ბაზრის, დამსაქმებლის მოთხოვნებს და ამზადებს კონკურენტუნარიან სპეციალისტს შესაბამისი უნარებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამა და სილაბუსები (ყველა დანართი, სავალდებულო და არჩევითი კურსების ჩათვლით);
- ინტერვიუ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მენეჯმენტთან, პერსონალთან და სტუდენტებთან
- უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ქართულ ფილოლოგიაში;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი [https://www.AkakiTsereteli State University .edu.ge](https://www.AkakiTsereteliStateUniversity.edu.ge)

რეკომენდაციები - გათვალისწინებულ უნდა იქნას უმაღლესი სასწავლებლის მიერ პროგრამის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

რჩევები - არასავალდებულო რჩევა პროგრამის განვითარების მიზნით.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: სასწავლო პროგრამები უნდა იყოს შედარებული სხვა აკრედიტებულ პროგრამებთან; სასურველია, ფაკულტეტს ყველა სილაბუსი ჰქონდეს ინგლისურ ენაზე და ისინი გამოქვეყნდეს ფაკულტეტის ვებგვერდზე.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამის მიხედვით გთხოვთ, მიუთითოთ შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ქართული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 3 (ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 4 - ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: სამაგისტრო პროგრამა - „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“ მიესადაგოს უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს ქართული ფილოლოგიაში. მახასიათებელში მითითებულია, რომ მეგრული, ლაზური, სვანური ენებია და არა ქართველური ენა-დიალექტები (მეგრულ-ლაზური, სვანური), როგორც ეს მითითებულია სასწავლო პროგრამაში- ქართული (ქართველური ენათმეცნიერება).

რჩევები: პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს სხვა აკრედიტებული პროგრამების პროგრამულ მიზნებს.

პროგრამა 5 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება⁶

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.1- პროგრამის მიზნები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ქართული ქართველური) ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შეფასება კეთდება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისთვის.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს სპეციფიკასთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები არის ის ცოდნა, უნარები და/ან პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინფორმაცია და უნარები, რომლებსაც სტუდენტი იძენს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დასრულების შემდეგ, აღწერილია კლასტერში თავმოყრილი პროგრამების სწავლის შედეგებით. კლასტერში შემავალი პროგრამების სასწავლო მიზნები: საბაკალავრო პროგრამა - "ქართული ენა და ლიტერატურა", სამაგისტრო პროგრამები - "ქართული ლიტერატურა", "ლინგვისტიკა" და სადოქტორო პროგრამა - "ფილოლოგია"), კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს შესაბამისი დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნები, შინაარსი, სწავლის სფეროს კლასიფიკატორით (0232 - ლიტერატურა და ენათმეცნიერება) განსაზღვრული სწავლის სფერო და ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები შეესაბამება სწავლის შედეგებს, რომლებიც დაფუძნებულია დარგის საუკეთესო პრაქტიკასა და განვითარების ტენდენციებზე.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შემუშავდა ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ჩართულობით, შრომის ბაზრის მოთხოვნების და პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლების გათვალისწინებით. თუმცა, გასაუბრებისას, აკადემიური პერსონალის ზოგიერთმა წევრმა მიუთითა, რომ არ იცნობდნენ მახასიათებლის დებულებებს და მათი დაცვის ვალდებულებას უსდ-ს მიერ.

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაში დარგობრივი მახასიათებელი სრულად უნდა იყოს ასახული ზეპირმეტყველებასთან, ლიტერატურულ პერიოდებთან და ქართული ლიტერატურის მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში წარმოჩენასთან დაკავშირებით. სამაგისტრო პროგრამაში მნიშვნელოვანია ზეპირმეტყველების, ქართული ლიტერატურის პერიოდებისა და ქართული ლიტერატურის სიღრმისეულად შესწავლა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.

რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამას „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“, ექსპერტთა ჯგუფი შეთანხმდა, რომ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ქართულ ფილოლოგიაში, როგორც მთავარი დოკუმენტი უნდა იყოს დაცული და ამიტომ უმაღლეს სასწავლებელს ვურჩევთ ამ პროგრამის სწავლის შედეგების მორგებას მახასიათებელზე.

დარგობრივ მახასიათებელში სისტემატურად წერია, რომ კურსდამთავრებულებს ექნებათ „ქართველური ლინგვისტიკის ცოდნა, რომელიც მოიცავს მასთან ერთად ქართული ან/და მეგრული, ლაზური, სვანური ენების სტრუქტურისა და ფუნქციონირების საკითხებს; ქართველური დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის და ლექსიკოგრაფიის თემებს“. ამიტომ აუცილებელია სასწავლო პროგრამაში ტერმინოლოგიის კორექტირება დარგობრივი ნიშნით.

აღწერა და ანალიზი – საბაკალავრო პროგრამა „ქართული ენა და ლიტერატურა“

ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მე-6 დონის აღმწერისა და დარგობრივი მახასიათებლების საფუძველზე, საბაკალავრო პროგრამა- ქართული ენა და ლიტერატურა - ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს მახასიათებლებთან. პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ქართული ენის, ქართული წერილობითი და ზეპირი ლიტერატურის, ზოგადი ლინგვისტიკასა და ლიტერატურის თეორიების სიღრმისეული ცოდნა, აღწერს ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის, ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ძირითად ასპექტებს, განიხილავს დარგის რთულ საკითხებს ევროპულ ლიტერატურასთან მიმართებით და ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში. გარდა ამისა, საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორცაა: კრიტიკულად მიუდგეს ფილოლოგიის დარგის ზოგად საკითხებს და შეაფასოს ლიტერატურული და ენობრივი წყაროები; ჰქონდეს სამოქალაქო/ტოლერანტული მიდგომა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივ-კულტურული ღონისძიებების, ქართული ენის, ასევე უმცირესობების ენების მიმართ; რაც დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების რუკით. სწავლის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურას სასურველია დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგებით განსაზღვრულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაფუძნებული წერილობითი ნაშრომის მომზადებას.

აღწერა და ანალიზი – სამაგისტრო პროგრამა „ქართული ლიტერატურა“

კვალიფიკაციის მე-7 საფეხურის აღმწერისა და უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების საფუძველზე სამაგისტრო პროგრამის- ქართული ლიტერატურა- სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს მახასიათებლებთან. პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ქართული ლიტერატურის თეორიების, ლიტერატურული ტექსტების და ლიტერატურული პროცესების ღრმა ცოდნა, ნათლად იაზრებს ქართულ ლიტერატურაში არსებულ უმნიშვნელოვანეს განვითარების ეტაპებს, მის განმასხვავებელ მახასიათებლებს და კულტურულ გარემოში არსებულ პრობლემებს. ამასთან ერთად, სამაგისტრო პროგრამა ქართულ ლიტერატურაში ითვალისწინებს ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორცაა ლიტერატურულ მოვლენებზე დამოუკიდებელი კვლევის ჩატარება უახლესი მეთოდების გამოყენებით და კვლევითი პრობლემების გადაჭრის უნარი კომპლექსური მიდგომით; ლიტერატურული მოვლენების ანალიზი, საფუძვლიანი მოსაზრებების ჩამოყალიბება, პროფესიულ დისკუსიებში მონაწილეობა და მეთოდოლოგიურად

სწორი, სამეცნიერო ნაშრომების შექმნის უნარი აკადემიური ნორმების შესაბამისად, რაც დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების რუკით. სწავლის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური.

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა ძირითადად ეფუძნება დარგობრივ მახასიათებელს, თუმცა მასში სრულად არ არის ასახული შემდეგი საკითხები: ზეპირი ტექსტების ღრმა და სისტემატური ცოდნა; ლიტერატურული პერიოდების ღრმა და სისტემატური ცოდნა; ქართული ლიტერატურის სხვადასხვა ასპექტის პრეზენტაცია მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში.

აღწერა და ანალიზი – სამაგისტრო პროგრამა „ლინგვისტიკა“

ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებისა და კვალიფიკაციის მე-7 დონის აღმწერიდან გამომდინარე, ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს მახასიათებლებთან. პროგრამის კურსდამთავრებული ავლენს ღრმა ცოდნას ლინგვისტიკის სხვადასხვა დარგში არსებული აქტუალური საკითხების შესახებ, როგორცაა ფონოლოგია, სემანტიკა, სოციოლინგვისტიკა, გენდერული ლინგვისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, ქართველური ლინგვისტიკა და ა.შ.;

ამასთან ერთად, ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორცაა ბიბლიოთეკებსა და სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში შესაბამისი წყაროებისა და ლიტერატურის ძიების, ლინგვისტური ფაქტების კლასიფიკაციის, კვლევის პრიორიტეტული სფეროების არჩევისა და შესაბამისი მეთოდების შერჩევის უნარი; ლინგვისტიკის რთული საკითხების განხილვის; შესაბამისი ემპირიული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის უნარი; აკადემიური სამუშაოს შესრულება მისაღები მეთოდოლოგიების გამოყენებით აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტანდარტების დაცვით და ენის, კულტურისა და საზოგადოების ურთიერთქმედების მოდელების შესწავლის უნარი, რაც დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების რუკით. სწავლის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური.

აღწერა და ანალიზი – სამაგისტრო პროგრამა „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“

ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებისა და კვალიფიკაციების მე-7 საფეხურის აღმწერიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამის „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკის“ სწავლის შედეგები დაკავშირებულია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის კურსდამთავრებული ავლენს ფართო ცოდნას ქართული სალიტერატურო ენის სტანდარტიზაციის პროცესზე, საეკლესიო მწერლობის ენის თავისებურებებზე და ქართული ლიტერატურის სახეობებზე; ქართული სალიტერატურო ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკური სტრუქტურისა და ფუნქციონირების შესახებ. პროგრამაში გამოყენებულია ტერმინი ქართველური ენა-დიალექტები (მეგრულ-ლაზური,

სვანური). ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში ნათლად წერია, რომ მეგრული, ლაზური, სვანური ენებია.

გარდა ამისა, სამაგისტრო პროგრამა „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“ ითვალისწინებს ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორცაა სხვადასხვა წყაროებიდან, მაგალითად ბიბლიოთეკებიდან, არქივებიდან და ელექტრონული რესურსებიდან შესაბამისი მასალების მოძიება და მათი სისტემატიზაცია შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, ქართული ენისა და დიალექტების რესურსების პრაქტიკაში გამოყენება და სხვადასხვა ტიპის ტექსტების შესწავლა, ქართული ლინგვისტიკის საკითხების გაანალიზება (თანამედროვე გამოწვევების კონტექსტში). „ქართველი ლინგვისტიკის“ სამაგისტრო პროგრამის შედეგები ძირითადად დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით არის ფორმულირებული, თუმცა რიგ შემთხვევებში არის გარკვეული შეუსაბამობები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქართველურ ლინგვისტიკაში გარკვეულ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობაა (ქართველური ენებისა და დიალექტების საკითხი) მომავალი სპეციალისტებისთვის, ფილოლოგიებისთვის აღნიშნული საკითხები უნდა ისწავლებოდეს შესაბამისი კონტექსტისა და თემების გათვალისწინებით, თუმცა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს დარგობრივ მახასიათებელს. წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამას არ ექნება ნორმატიული ჩარჩო.

აღწერა და ანალიზი – სადოქტორო პროგრამა „ფილოლოგია“

კვალიფიკაციის მე-8 საფეხურის აღმწერზე დაყრდნობით, „ფილოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. პროგრამის კურსდამთავრებული ავლენს ფართო ცოდნას მიმდინარე პრობლემების, კანონზომიერებების, უახლესი კონცეფციების, ლიტერატურათმცოდნეობის/ლინგვისტიკის განვითარების მნიშვნელოვანი თეორიების, ლიტერატურული/ლინგვისტური აქტუალური საკითხებს, ისტორიული, ლიტერატურული, ლინგვისტური და ზოგადკულტურული ასპექტებისა და გარე სამყაროსთან ურთიერთობის, ფილოლოგიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპების შესახებ. ამასთან, სადოქტორო პროგრამა „ფილოლოგია“ ითვალისწინებს ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორცაა ლინგვისტური და ლიტერატურული სკოლების, ინტერდისციპლინური თეორიების, ფუნდამენტური კვლევის პრინციპებისა და მეთოდოლოგიების განხილვა და საფუძვლიანი დასკვნების ჩამოყალიბება; ფილოლოგიის სფეროში დამოუკიდებლად ინოვაციური კვლევების ჩატარება სხვადასხვა მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით და ფილოლოგიის დარგის რთული და მრავალმხრივი სამეცნიერო საკითხების ანალიზი; კვლევისა და სწავლა/სწავლების პროცესში თანამედროვე მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენება; ფილოლოგიის აქტუალური პრობლემების გადაჭრის ორიგინალური გზების ძიება, დამოუკიდებლად დაგეგმვა და სამეცნიერო შრომის შექმნა ფილოლოგიის კონკრეტული დისციპლინის ცალკეულ ასპექტებზე აკადემიური სტანდარტის შესაბამისად; ადგილობრივ და საერთაშორისო თემატურ დისკუსიებში და პროფესიულ დებატებში მონაწილეობა, რაც დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების რუკით. სწავლის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამა და სილაბუსები (ყველა დანართი, სავალდებულო და არჩევითი კურსების ჩათვლით);
- ინტერვიუ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მენეჯმენტთან, პერსონალთან და სტუდენტებთან
- ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://www.AkakiTsereteli State University .edu.ge>

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები: გირჩევთ, შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში აჩვენოთ, თუ გაუმჯობესების რა სფეროები გამოიკვეთა შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე და რა გამოცდილება იქნა გაზიარებული პროგრამაზე მუშაობისას, ასევე რა მიმართულებით განაპირობა ამ მოსაზრებებმა გარკვეული ცვლილებები პროგრამაში. შრომის ბაზრის კვლევა ეფუძნებოდა უფრო რაოდენობრივ კვლევას და ნაკლებად იყო ორიენტირებული კვლევის შედეგების ერთიან შეჯამებაზე და იმ გარემოებების გამოკვეთაზე, რასაც ამ ეტაპზე მოითხოვს შრომის ბაზარი ამ მიმართულებით.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, მიუთითოთ შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ქართული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურას სასურველია დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგებით განსაზღვრულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაფუძნებული წერილობითი ნაშრომის მომზადებას.

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 3 (ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 4 (ქართული(ქართველური) ლინგვისტიკა, მაგისტრატურა))

რეკომენდაციები: უსდ-მ მოარგოს სამაგისტრო პროგრამის „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“ სწავლის შედეგები ქართული ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებელს.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 5 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს სწავლის შედეგების შეფასების შესაბამისი მექანიზმები, მისი რეგულაციებისა და აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფი დაბეჯითებით გირჩევთ, რომ გაიართო კონსულტაცია ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის თაობაზე და მასზე

მოარგოთ სამაგისტრო პროგრამა „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“, სასწავლო პროგრამების ყველა ასპექტსა და ნაწილში. დარგობრივ მახასიათებელში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულებს უნდა ჰქონდეთ „სისტემური ცოდნა ქართველური ლინგვისტიკის შესახებ, რომელიც მოიცავს მასთან ერთად ქართული ან/და მეგრული, ლაზური, სვანური ენების სტრუქტურისა და ფუნქციონირების საკითხებს; ქართველური დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის და ლექსიკოგრაფიის თემებს“.

ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი და საბჭოები უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დონეზე ეყრდნობიან შესაბამის პროტოკოლებს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის. შეფასების ჯგუფი სწორად არის სტრუქტურირებული, წევრები ასრულებენ სხვადასხვა როლს. ეს შესაძლებლობას იძლევა გადაიჭრას ხარისხის უზრუნველყოფისა და პროცესის ყველა ასპექტის საკითხები ყველა თვალსაზრისით. ტექნიკა, რომელიც ხშირად იყენებს როგორც პირდაპირ, ისე ირიბ მექანიზმებს, საკმაოდ ეფექტურია. უკუკავშირის მექანიზმები არის ადეკვატური და პროფესიულად შემუშავებული.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული იყო და გარკვეულწილად დადასტურდა ინტერვიუების დროს, რომ ყველა შესაბამისმა მხარემ გამოავლინა ინფორმირებულობა და ჩართულობა შეფასების პროცედურებში. სტუდენტების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი იყვნენ ინფორმირებული პროცესის შესახებ და ეს ნათელი და გასაგებია.

სახეზეა გაუმჯობესების საჭიროება, რადგან ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ აკადემიური პერსონალის ზოგიერთი წევრი არ იცნობდა ქართულ ფილოლოგიაში უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დებულებებსა და მნიშვნელობას. სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კომპონენტების სწავლის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად. სათანადოდ არის გათვალისწინებული სწავლის სფეროსა და განათლების დონის სპეციფიკური ასპექტები. შეფასების ფორმები და მეთოდები, როგორც პირდაპირი, ისე ირიბი, საფუძვლიანია. სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის განსავითარებლად.

უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ განათლება ხელმისაწვდომი იყოს სწავლის სპეციფიკური სირთულეების მქონე სტუდენტებისთვის. შეფასების სხვადასხვა ფორმა უნდა იქნას გამოყენებული, რათა სხვადასხვა სწავლის უნარისა და კომპეტენციის მქონე სტუდენტებს ჰქონდეთ საშუალება თანაბრად გამოავლინონ თავი. სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეებს არა მხოლოდ ფიზიკური სირთულეები აქვთ, არამედ მნიშვნელოვანია შეფასების და პრეზენტაციის ფორმების მორგება მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამა და სილაბუსები (ყველა დანართი, სავალდებულო და არჩევითი კურსების ჩათვლით);

- ინტერვიუ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მენეჯმენტთან, პერსონალთან და სტუდენტებთან
- ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი: [https://www.Akaki Tsereteli State University .edu.ge](https://www.AkakiTsereteli State University .edu.ge)

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები: უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ განათლება ხელმისაწვდომი იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის. გამოყენებული უნდა იყოს შეფასების სხვადასხვა ფორმა, რათა სწავლის სხვადასხვა უნარისა და კომპეტენციის მქონე მოსწავლეებს ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები აკადემიური მოსწრებისთვის. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებს არა მხოლოდ ფიზიკური სირთულეები აქვთ, არამედ მნიშვნელოვანია შეფასების და პრეზენტაციის ფორმების მორგება მათ საჭიროებებზე.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამის მიხედვით გთხოვთ, მიუთითოთ შემუშავებულ რეკომენდაციები და წინადადებები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ქართული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 3 (ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 4 (ქართული(ქართველური) ლინგვისტიკა, მაგისტრატურა))

რეკომენდაციები: ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ გაიაროთ კონსულტაცია ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან დაკავშირებით და მასზე მოარგოთ სამაგისტრო პროგრამა „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“ სასწავლო პროგრამების ყველა ასპექტსა და ნაწილში. ის ნათელია და ზედმიწევნით აღწერს სწავლის სფეროს, სწავლის შედეგებს, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებს და სხვა დამატებით ინფორმაციას.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 5 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია ნათქვამი, კლასტერში დაჯგუფებული სასწავლო პროგრამები შედგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი "საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის - EP-QA" შესაბამისად (გადაწყვეტილება No49 (17/18), No39. (20/21), 15.07.2021, No. 8 (22/23), 16.09. 2022).

საქართველოს განათლების მეცნიერების სფეროში, კლასტერულად დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებმა (0232) ლიტერატურა და ლინგვისტიკა (ბაკალავრიატი - "ქართული ენა და ლიტერატურა", მაგისტრატურა - "ქართული ლიტერატურა", "ლინგვისტიკა", "ქართველური ლინგვისტიკა" და დოქტორი. - „ფილოლოგია“) განიცადა მოდიფიკაცია, ბრძანების 1 დანართით დამტკიცებული „კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს“ მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამაში ჩარიცხვის წინაპირობები, პროგრამის მიზნები, სასწავლო მიზნები და კომპეტენციები, სწავლა/სწავლის ტექნიკა, სწავლის შედეგების მიღწევის გზები და შეფასების მეთოდები, დასაქმების სფეროები, საჭირო რესურსები და დამხმარე გარემოებები შესულია პროგრამის მასალებში.

პროგრამების შინაარსი მოიცავს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს და კომპეტენციებს, სწავლა/სწავლის მეთოდებს, სწავლის შედეგების მიღწევის გზებს და შეფასების მეთოდებს, დასაქმების სფეროებს, საჭირო რესურსებს და დამხმარე პირობებს.

თითოეული პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრულია, შინაარსი და მოცულობა შეესაბამება განათლების დონეებს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა). შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საბაკალავრო პროგრამას აქვს 240 ECTS და ხანგრძლივობაა 4 წელი ანუ 8 სემესტრი;

სამაგისტრო პროგრამებს აქვს 120 ECTS და ხანგრძლივობაა 2 წელი ანუ 4 სემესტრი;

სადოქტორო პროგრამას აქვს 60 ECTS და ხანგრძლივობა არის მინიმუმ 3 წელი, ანუ 6 სემესტრი;

სამივე დონის პროგრამა ითვალისწინებს 60 ECTS წელიწადში, 30 ECTS სემესტრში და 1 ECTS შეესაბამება 25 საათს.

გასაუბრებისას დადასტურდა, რომ პროგრამის სტრუქტურის ფორმირებაში სამუშაო ჯგუფთან ერთად მონაწილეობდნენ დაინტერესებული მხარეები (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები).

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თითოეულ კომპონენტში გამოყენებული მეთოდები, კრედიტების რაოდენობა, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები ძირითადად შეესაბამება თითოეული სასწავლო კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. თუმცა, გარკვეული რეკომენდაციები მოცემულია აღწერისა და ანალიზის ნაწილში.

აღწერა და ანალიზი - საბაკალავრო სასწავლო პროგრამა „ქართული ენა და ლიტერატურა“

საბაკალავრო სასწავლო პროგრამის „ქართული ენა და ლიტერატურა“ მოცულობა შეადგენს 240 ECTS-ს, მათ შორის:

- ძირითადი პროგრამა - 180 კრედიტი;
- დამატებითი (მაინორი) პროგრამა (სტუდენტს უფლება აქვს აირჩიოს უნივერსიტეტში არსებული დამატებითი პროგრამა) ან თავისუფალი კომპონენტი - 60 ECTS;
- ძირითადი პროგრამის სტრუქტურა და 180 ECTS ნაწილდება შემდეგნაირად:
- ძირითადი სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები - 120 ECTS;
- ძირითადი კურსის შინაარსის შესაბამისი არჩევითი კურსი - 20 ECTS;
- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 კრედიტი.

პროგრამა შედარებულია სხვა ადგილობრივი უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებთან. პროგრამა მოიცავს სხვადასხვა ლინგვისტურ დისციპლინას: ზოგადი ლინგვისტიკა, დიალექტოლოგია, ლექსიკოლოგია, ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული ზეპირსიტყვიერება, ლიტერატურის თეორია და განიხილავს დარგის რთულ საკითხებს დასავლეთ ევროპის ლიტერატურასთან კავშირში და ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში.

თუმცა, უახლესი პუბლიკაციები უნდა იყოს შეტანილი სილაბუსებში და შეიცვალოს ძველი რუსულენოვანი პუბლიკაციები.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში სასწავლო კურსების მოცულობა შეადგენს 3, 4 და 5 კრედიტს, თუმცა ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია, რას ეფუძნება ეს დაყოფა. მაგალითად, სასწავლო კურსი - დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (შუა საუკუნეები - მეთვრამეტე საუკუნე) 5 კრედიტიანია, ხოლო სასწავლო კურსი - დასავლეთ ევროპული და ამერიკული ლიტერატურა (XIX-XX სს) 3 კრედიტიანი. ასევე, მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთი სასწავლო კურსი 3-კრედიტიანია და მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის მეორე სასწავლო კურსი - 5 კრედიტიანი.

საბაკალავრო პროგრამა არ მოიცავს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას. პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრავს სამეცნიერო ლიტერატურაზე დაფუძნებული წერილობითი ნაშრომის მომზადებას. უნივერსიტეტში ვიზიტისას ნათელი გახდა, რომ წერილობითი კომპონენტი შეიძლება შესრულდეს პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სასწავლო კურსზე შესრულებული ნაშრომებით, თუმცა სასურველია საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურას დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი, რაც უზრუნველყოფს კვლევის შედეგებით განსაზღვრული სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე წერილობითი ნაშრომის მომზადებას.

აღწერა და ანალიზი - სამაგისტრო პროგრამა „ქართული ლიტერატურა“

სამაგისტრო პროგრამის „ქართული ლიტერატურა“ მოცულობა შეადგენს 120 ECTS-ს, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- სწავლის ძირითადი სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსები - 85 ECTS (მათ შორის: საკურსო ნაშრომი 5 ECTS, სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS);
- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 5 ECTS;
- სწავლის ძირითადი სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი კურსები - 30 ECTS.

პროგრამა შედარებულია სხვა ადგილობრივ უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამასთან.

პროგრამა იძლევა ღრმა და სისტემატურ ცოდნას ქართული ლიტერატურის განვითარებისა და პროცესების, ნარატიული ტექსტებისა და ლიტერატურის თეორიების მნიშვნელოვანი ტენდენციების შესახებ. იგი, ასევე, მოიცავს ქართული ლიტერატურის თავისებურ მახასიათებლებს და კულტურულ კონტექსტში არსებულ პრობლემატურ საკითხებს;

თუმცა, უფრო მეტი უახლესი პუბლიკაციები უნდა იყოს შეტანილი სილაბუსებში და შეიცვალოს ძველი რუსულენოვანი პუბლიკაციები.

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა ძირითადად დარგობრივ მახასიათებელს ეფუძნება, თუმცა გარკვეულ საკითხებში დაზუსტების საჭიროებაა. კერძოდ, პროგრამის სტრუქტურაში არ არის გათვალისწინებული ზეპირი ტექსტების ღრმა და სისტემატური ცოდნა. ასევე, ქართული ლიტერატურის სწავლება მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი სასწავლო კურსი შეიძლება მოიძებნოს

დოქტორანტურის დონეზე, თუმცა, ვინაიდან დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს აღნიშნული საგნის სამაგისტრო დონეზე სწავლებას, მიზანშეწონილია სასწავლო კურსის/კურსების შეცვლა და სწავლება სამაგისტრო დონეზე.

აღწერა და ანალიზი - მაგისტრატურის სასწავლო პროგრამა „ლინგვისტიკა“

სამაგისტრო პროგრამის მოცულობაა 120 ECTS, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად:

- სწავლის ძირითადი სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსები - 105 ECTS (მათ შორის: საკურსო ნაშრომი 5 ECTS, სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS);
- ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი კურსები - 15 ECTS.

პროგრამა შედარებულია საზღვარგარეთ ერთი უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამასთან.

პროგრამა მოიცავს სხვადასხვა ლინგვისტურ დისციპლინას: ფონოლოგია, სემანტიკა, სოციოლინგვისტიკა, გენდერული ლინგვისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, ქართველური ლინგვისტიკა, პალეოგრაფია, ლინგვისტიკის ისტორია და მეთოდოლოგია.

აღწერა და ანალიზი – სამაგისტრო პროგრამა „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“

კლასტერში შემავალი სამაგისტრო პროგრამა „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“ შედგება სამი მოდულისგან: „ქართული სალიტერატურო ენა“, „ქართული დიალექტოლოგია“ და „ქართული საეკლესიო მწერლობის ენა“. პროგრამის მოცულობა 120 ECTS, მათ შორის:

- ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსები - 100 ECTS, მათ შორის:
- სამივე მოდულისთვის ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 ECTS;
- მოდული I - ქართული სალიტერატურო ენა - 35 ECTS;
- მოდული II - ქართული დიალექტოლოგია - 35 ECTS;
- მოდული III - ქართული საეკლესიო მწერლობის ენა - 35 ECTS. ;
- საკურსო ნაშრომი - 5 ECTS;
- სამაგისტრო ნაშრომი (30 ECTS);
- არჩევითი სასწავლო კურსი სამივე მოდულისთვის - 20 ECTS;

ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ სამაგისტრო პროგრამა „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“ სრულად არ შეესაბამება ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, თუმცა სასწავლო გეგმაში აღნიშნული იყო, რომ პროგრამა შედარებულია სხვა ადგილობრივი უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებთან. დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს სავალდებულო (სწავლის შედეგების) დებულებებს ქართული ფილოლოგიის დარგში პროგრამების განმახორციელებელი ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის. სწავლის სხვა შედეგებთან ერთად, მნიშვნელოვანია გამოყვით

ქართველური ლინგვისტიკის, ქართული ან/და მეგრული, ლაზური, სვანური ენების ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ანალიზის საკითხები; ქართველური დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ლექსიკოგრაფიის თემები.

აღწერა და ანალიზი - დოქტორანტურის სასწავლო პროგრამა „ფილოლოგია“

დოქტორანტურის პროგრამა „ფილოლოგია“ არის 60 ECTS-იანი, მათ შორის:

- სწავლის ძირითადი სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 ECTS;

- სწავლის ძირითადი სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი კურსები - 30 ECTS

პროგრამა შედარებულია სხვა ადგილობრივი უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებთან.

სასწავლო პროგრამა შეიცავს ლიტერატურათმცოდნეობის/ლინგვისტიკის განვითარების სიღრმისეულ თანამედროვე და მნიშვნელოვან თეორიებს. პროგრამა მოიცავს ლიტერატურულ/ლინგვისტურ აქტუალურ საკითხებს, ისტორიულ, ლიტერატურულ, ლინგვისტურ და ზოგადკულტურულ ასპექტებს და ურთიერთობას გარე სამყაროსთან; ექსპერტთა ჯგუფი ვარაუდობს, რომ ზოგიერთი კურსი, როგორცაა შედარებითი ლინგვისტიკა, უფრო შესაფერისი იქნება სამაგისტრო დონეზე, რადგან ის განიხილავს თემებს, რომლებიც უფრო აქტუალურია მაგისტრატურის სტუდენტებისთვის. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა დატვირთულია სასწავლო კომპონენტით. პროგრამაში 30 სასწავლო კურსია, მათი დიდი ნაწილი დარგობრივია. გარდა ამისა, პროგრამამ გაიარა გარე შეფასება, რომელშიც მკაფიოდ და ობიექტურად არის გამოხატული რეკომენდაციები პროგრამის სტრუქტურასა და ცალკე სასწავლო კურსებთან დაკავშირებით, თუმცა პროგრამის საბოლოო შემუშავებისას გარე შეფასების რეკომენდაციები არ იქნა გათვალისწინებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადოქტორო პროგრამის ზოგიერთი კურსი შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს და მითითებული / დაკონკრეტებულია ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებელში მაგისტრატურის პროგრამისთვის. მაგალითად, ქართული მწერლობა ევროპული ლიტერატურის კონტექსტში შეიძლება დამუშავდეს სამაგისტრო დონეზე ცოდნა-ცნობიერების განყოფილებაში განსაზღვრული კომპონენტისთვის: იგი ანალიზებს ქართული ლიტერატურის სხვადასხვა ასპექტს მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. ასევე, სადოქტორო პროგრამაში არის საბაზო საფეხურის შესაბამისი კურსები, როგორცაა თეორიული ლინგვისტიკის ძირითადი პრობლემები, ქართული ტრილიტერატურული ენის გრამატიკის აქტუალური საკითხები და ა.შ. ექსპერტების აზრით, მნიშვნელოვანია, რომ სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა სრულად შეესაბამებოდეს დოქტორანტურის დონეს, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს როგორც სწავლების კომპონენტზე, ასევე, დიდწილად, კვლევით კომპონენტზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;

- პროგრამა და სილაბუსები (ყველა დანართი, სავალდებულო და არჩევითი კურსების ჩათვლით);
- ინტერვიუ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მენეჯმენტთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან
- ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი : <https://www.AkakiTsereteli State University .edu.ge>

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

თავიდან უნდა იქნას აცილებული სასწავლო კურსების შინაარსისა და თემატური გადაფარვა;

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, მიუთითოთ შემუშავებულ რეკომენდაციები და წინადადებები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ქართული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები: სილაბუსებში უნდა შევიდეს უახლესი პუბლიკაციები და შეიცვალოს რუსულ ენაზე წარმოდგენილი უფრო ძველი გამოცემები.

რჩევები: გირჩევთ, რომ სასწავლო კურსის კრედიტების განაწილება იყოს შესაბამისი და თანმიმდევრული კურსის შინაარსთან, მიზნებთან, ამოცანებთან და სწავლის შედეგებთან, როგორც კურსის, ასევე პროგრამის პერსპექტივიდან.

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: სილაბუსებში უნდა შევიდეს უახლესი პუბლიკაციები და შეიცვალოს რუსულ ენაზე წარმოდგენილი უფრო ძველი გამოცემები.

რჩევები: გირჩევთ, რომ ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნეს დარგობრივ მახასიათებელში აღნიშნული საკითხები: ფოლკლორი, ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.

პროგრამა 3 (ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: სილაბუსებში უნდა შევიდეს უახლესი პუბლიკაციები და შეიცვალოს რუსულ ენაზე წარმოდგენილი უფრო ძველი გამოცემები.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 4 (ქართული(ქართველური) ლინგვისტიკა, მაგისტრატურა))

რეკომენდაციები: უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ქართულ ფილოლოგიაში, როგორც უმაღლეს სასწავლებლების ერთ-ერთი საკვანძო დოკუმენტი, ყურადღებით უნდა იქნას დაცული ყველა ასპექტში. დარგობრივი მახასიათებელი აღწერს სწავლის სფეროს, სწავლის შედეგებს, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდებს, ასევე სხვა დამატებით ინფორმაციას. სამაგისტრო პროგრამაში მეგრული, ლაზური, სვანური მოხსენიებულ უნდა იყოს, როგორც ენები, როგორც ეს მითითებულია დარგობრივ მახასიათებელში.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 5 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)

რეკომენდაციები: მიზანშეწონილია, რომ ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა ქართველური ლინგვისტიკის ნაწილში მოიცავდეს დარგის აღიარებულ სამეცნიერო ტენდენციებს და მიმართულებებს.

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი ასათვისებელი დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კურსის სილაბუსები, რომლებშიც დაცულია ინსტიტუციური რეგულაციები სტრუქტურის თაობაზე, მოიცავს სრულ ინფორმაციას სწავლებისა და სწავლების მეთოდების, შინაარსის, მიზნების, კრედიტების, სტუდენტების დატვირთვის, დაშვების მოთხოვნების, სწავლის შედეგების, შეფასების პროცედურების, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის შესახებ და სხვა ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც გამოსაძეგია მიზნისათვის და უზრუნველყოფს კურსების შინაარსს. კრედიტ სისტემა მისაღები და გამჭვირვალე დიზაინისაა. თითოეული პროგრამის ფარგლებში და სხვადასხვა პროგრამის კურსებს შორის შესაბამისობა ძირითადად ადეკვატურადაა გათვალისწინებული, რაც უზრუნველყოფს ზოგად ბალანსს, რომელიც

მიმართულია სასურველი შედეგების მისაღწევად. თუმცა, სადოქტორო დონეზე ზოგიერთი კურსი, როგორცაა "შედარებითი ლინგვისტიკა", უფრო შესაფერისი იქნებოდა სამაგისტრო დონისათვის, რადგან ის განიხილავს თემებს, რომლებიც უფრო აქტუალურია მაგისტრატურის სტუდენტებისთვის. „საერთო ქართველური ენისა და ქართველური ქვესისტემების ფონემიური სტრუქტურა (ისტორიული დინამიკა)“, „ქართული ტრილიტერატურული ენის გრამატიკის აქტუალური საკითხები (ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებაში)“ ისე უნდა გადამუშავდეს, რომ შეესაბამებოდეს ლინგვისტიკის სფეროში, მათ შორის დარგობრივ მახასიათებელში ჩამოყალიბებულ ტერმინოლოგიას.

კურსის სილაბუსში მოცემულია პირველადი წყაროების და მეორადი ბიბლიოგრაფიის დეტალური ჩამონათვალი, რომელიც იქნება განხილული კურსის ფარგლებში. სილაბუსებში უნდა იყოს შეტანილი უფრო ახალი პუბლიკაციები და ჩანაცვლდეს ძველი რუსულენოვანი პუბლიკაციები.

საბაკალავრო პროგრამაში სასურველია სასწავლო კურსს „ლინგვისტური დოქტრინების ისტორია“ დაემატოს თანამედროვე კვლევები, მაგალითად, თ.ბოლქვაძის ნაშრომები: „საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი: ნ.მარი, ი.სტალინი, არნ. ჩიქობავა“, თბ., 2018; თ.ბოლქვაძე, „იდეოლოგიზებული ღირებულებები“, თბ., 2007 და სხვ.

ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ სასწავლო პროგრამების შექმნისა და განახლების პროცესში გავლილია კონსულტაციები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

კლასტერში შემავალი პროგრამები გაერთიანებულია ფილოლოგიური დარგების ირგვლივ. საბაზო საფეხურზე, ბაკალავრიატში წარმოდგენილია სასწავლო კურსები, რომლებიც შემდგომ ვითარდება სხვადასხვა მიმართულებით მაგისტრატურაში. კლასტერში შემავალ პროგრამებზე დაკვირვება აჩვენებს, ერთის მხრივ, განვითარებას სწავლების დონეების მიხედვით, მეორე მხრივ კი სასწავლო კურსების დონეზე ცალკეული საკითხების განვითარების, გაღრმავებისა და დეტალიზაციის შესაძლებლობებს.

აღწერა და ანალიზი - საბაკალავრო სასწავლო პროგრამა „ქართული ენა და ლიტერატურა“

ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამის შემოთავაზებული კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სასწავლო მიზნებს და უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს. წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ნაჩვენებია მათი კავშირი კონკრეტულ კურსებთან, რათა გარანტირებული იყოს კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამასთან. ECTS კრედიტები გამოიყენება პროგრამის ყველა კურსის შესაფასებლად. თუმცა სასწავლო კურსების მოცულობა არის 3, 4 და 5 ECTS. ხშირ შემთხვევაში გაურკვეველია, თუ რას ეფუძნება ეს დაყოფა. მაგალითად, სასწავლო კურსი - "დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (შუა საუკუნეები - მეთვრამეტე საუკუნე)" არის 5 ECTS-იანი, ხოლო სასწავლო კურსი - "დასავლეთ ევროპული და ამერიკული ლიტერატურა (XIX-XX სს)" - 3 ECTS-იანი. ასევე, "ქართული ენის მორფოლოგია (ზმნა1)" არის 3 ECTS-იანი, ხოლო "ქართული ენის მორფოლოგია (ზმნა2)" 5 ECTS-

იანი. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სავალდებულო და დამატებითი რესურსები და ლიტერატურა.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები ძირითადად დარგობრივი ნიშნით არის შედგენილი, თუმცა არის გარკვეული შეუსაბამობები. კერძოდ, სასწავლო კურსი „ქართული დიალექტოლოგია“ არ შეესაბამება აღნიშნულ დოკუმენტს. გარდა ამისა, აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია პრაქტიკა დიალექტში. კურსში არ არის განსაზღვრული ქართველური ენებისა და ქართული დიალექტების სტატუსი. ამიტომ პრაქტიკის საკითხი და მისი შინაარსი ხდება კიდევ უფრო რთული. სასწავლო კურსი „ქართული ფოლკლორი“ მოიცავს ასევე მითოლოგიის ასპექტებს. გარდა ამისა, არსებობს ცალკე სასწავლო კურსი მითოლოგიაში „ქართული მითოლოგია“. მიზანშეწონილია სასწავლო კურსებზე თემატური გადაფარვების თავიდან აცილება. სასწავლო კურსი „ქართული ლიტერატურა ინტერნეტ სივრცეში“ არ შეიცავს შესაბამის ლიტერატურას. სასწავლო კურსის შესაბამისობა სწავლის შედეგებთან და დარგის მახასიათებლებთან არ არის დაკონკრეტებული. სასწავლო კურსის გაცნობის შედეგად ვერ დგინდება, თუ რომელ ტექსტებს ეფუძნება საგანი.

ზოგიერთი სასწავლო კურსი, მაგალითად, „ქართული ენა ინტერნეტ სივრცეში“, არ შეიცავს შესაბამის ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას, ბმულები არასწორად არის მითითებული და ა.შ.

აღწერა და ანალიზი - სამაგისტრო პროგრამა „ქართული ლიტერატურა“

ამ სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს. პროგრამის ყველა კურსი შეფასებულია ECTS-ით. პროგრამის სწავლის მიზნები და უმაღლესი განათლების შესაბამისი დონე ძირითადად შეესაბამება მაგისტრატურის სასწავლო პროგრამის კურსების სწავლის შედეგებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამა არ შეიცავს ზეპირი ტექსტების ღრმა და სისტემატურ ანალიზს და ასევე ქართული ლიტერატურის სწავლებას მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი სასწავლო კურსი შეიძლება მოიძებნოს დოქტორანტურაშიც. თუმცა, ვინაიდან დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს აღნიშნული საგნის მაგისტრატურის დონეზე სწავლებას, მიზანშეწონილია სასწავლო კურსის/კურსების შეცვლა და მათი სწავლება მაგისტრატურის დონე.

აღწერა და ანალიზი - სამაგისტრო პროგრამა „ლინგვისტიკა“

ინდივიდუალური კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგებს. ყველა კურსი შეფასებულია, მიუხედავად მათი სავალდებულო ან არჩევითი სტატუსისა - 5 ECTS-ით. ზოგადი ბალანსი, რომელიც მიმართულია სასურველი შედეგების მისაღწევად, აშკარაა. კურსის სილაბუსში მოცემულია პირველადი წყაროების და მეორადი ბიბლიოგრაფიის დეტალური ჩამონათვალი, რომელიც იქნება განხილული. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ უნდა იქნას გამოყენებული თანამედროვე ლიტერატურა. სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება საზღვარგარეთის სხვა უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამას და ეს თანხვედრა უნდა შენარჩუნდეს თანამედროვე ლიტერატურის გამოყენების ნაწილშიც.

აღწერა და ანალიზი – სამაგისტრო სასწავლო პროგრამა „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“

სასწავლო პროგრამის ყველა სილაბუსი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, კურსის ტიპი, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, კურსის მიმწოდებელი, კურსის მიზანი, სასწავლო კურსის ფორმატი, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლა/ სწავლების მეთოდები, სასწავლო რესურსები, კურსის შინაარსი და ა.შ. კურსის სილაბუსში დეტალურად არის აღწერილი სტუდენტების შეფასების ფორმები, მეთოდები და რუბრიკები. ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ სამაგისტრო პროგრამა „ქართული (ქართველი) ლინგვისტიკა“ სრულად არ შეესაბამება ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, თუმცა კურიკულუმში აღნიშნული იყო, რომ პროგრამა სხვა ადგილობრივი უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების სადარია.

ქართველური ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამაში სასწავლო კურსების ერთი ნაწილი არ შეესაბამება ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებელს. მათ შორის, სასწავლო კურსებზე, ქართველური დიალექტოლოგიის პრობლემები 1 და 2, ქართველური სინტაგმა და ა.შ. ტერმინოლოგია გამოიყენება ურთიერთშენაცვლებულად: ენები, დიალექტები, კილოები, ენა-კილოები და ა.შ. რაც ქმნის გაურკვევლობის საფუძველს. ექსპერტების აზრით, მნიშვნელოვანია სასწავლო კურსების დონეზე დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ტერმინოლოგიის დაფიქსირება: მათი სახელები, მიზნები და სწავლის შედეგები და ცალკეული შეხედულებები, რომლებიც არსებობს ქართველური ენების ირგვლივ, უნდა ისწავლებოდეს ცალკე საკითხებად კურსის შინაარსში. ასეთი მიდგომით შესაძლებელი იქნებოდა სტუდენტებისათვის სხვადასხვა თვალსაზრისის გაცნობა და, იმავდროულად, პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და შინაარსის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობის მიღწევა.

სასწავლო კურსების ნაწილში მითითებულია რუსულენოვანი სახელმძღვანელოები, თუმცა აღნიშნული ენა სასწავლო კურსების წინაპირობად არ არის მითითებული.

აღწერა და ანალიზი - სადოქტორო სასწავლო პროგრამა „ფილოლოგია“

სადოქტორო პროგრამის კურსები ავსებენ მის მიზნებს და ერთად ქმნიან თანმიმდევრულ მთლიანობას. კრედიტების რაოდენობა და განაწილება ადეკვატურია, სათანადო ყურადღება ექცევა საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების საუკეთესო ბალანსის მიღწევას. შეფასების კრიტერიუმები მკაფიო და თანმიმდევრულია. სასწავლო პროგრამა სთავაზობს არჩევითი კურსების უზარმაზარ არჩევანს, რომელიც უნდა გადაიხედოს, რადგან ამ კურსებიდან ზოგიერთი უფრო შესაფერისი იქნებოდა მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსები უმეტეს შემთხვევაში შეესაბამება სადოქტორო სფეროს, თუმცა არის გარკვეული შეუსაბამობები. კერძოდ, სასწავლო კურსების ნაწილი შეესაბამება სამაგისტრო დონეს (იხილეთ 1. 4. დეტალურად), ასევე სასწავლო კურსების ნაწილში, მაგალითად, კურსებში: „საველე კვლევის თანამედროვე მეთოდები“, „ლინგვისტური

კულტურა“, „ლიტერატურული კომპარატივისტიკა“ და სხვა. მითითებულია წიგნები რუსულ ენაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტმა წარმოადგინა გარე შეფასება, სადაც დეტალურად არის განხილული სადოქტორო პროგრამის დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეები. მნიშვნელოვანია, რომ დარგის ექსპერტმა მიმოიხილოს სასწავლო კურსები და უახლესი კვლევების გათვალისწინებით მიუთითოს მათი შეუსაბამობა საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადოქტორო პროგრამაში სასწავლო კურსების სახელწოდებასა და შინაარსში, კერძოდ, ქართველურ ენათმეცნიერებაში, მითითებული ტერმინოლოგია არ არის დადგენილი და იწვევს გაურკვევლობას.

ეს კი თავის მხრივ იწვევს სამეცნიერო კვლევების შეზღუდვასა და მარგინალიზაციას. როგორც ცნობილია, სადოქტორო პროგრამის მთავარი მიზანია კვლევის საერთაშორისო ხელმისაწვდომობა, ასევე ქართველოლოგიური დარგების მეტი ჩართულობა საერთაშორისო სამეცნიერო დიალოგში, ხოლო ზემოაღნიშნული აფერხებს ამ მნიშვნელოვან და სასარგებლო პროცესს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამა და სილაბუსები (ყველა დანართი, სავალდებულო და არჩევითი კურსების ჩათვლით);
- ინტერვიუები უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მენეჯმენტთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან;
- უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ქართულ ფილოლოგიაში;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://www.Akaki Tsereteli State University .edu.ge>

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ქართული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია სასწავლო კურსი „ქართული დიალექტოლოგია“ შეესაბამებოდეს დარგობრივ მახასიათებელს.

რეკომენდებულია პროგრამის ფარგლებში ქართული დიალექტებისა და ქართველური ენების სტატუსის დადგენა და სტუდენტთა პრაქტიკის განხორციელებისას ყურადღების გამახვილება აღნიშნულ გარემოებებზე.

რეკომენდებულია ცალკეულ სასწავლო კურსებზე თემატური გადაფარვების თავიდან აცილება.

სასწავლო კურსი „ქართული ლიტერატურა ინტერნეტ სივრცეში“ უნდა გადამუშავდეს ისე, რომ დაზუსტდეს მისი მიზნები და შესაბამისობა სწავლის შედეგებთან.

რეკომენდებულია სასწავლო კურსების შევსება შესაბამისი ბიბლიოგრაფიული მონაცემებით.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: მიზანშეწონილია ზეპირი ტექსტების ღრმა და სისტემატური ანალიზის შეტანა და ქართული ლიტერატურის სწავლება მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში.

პროგრამა 3 (ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: გამოყენებული უნდა იქნეს უახლესი ლიტერატურა. დახვეწოს ინგლისურ ენაზე სავალდებულო ბიბლიოგრაფიის სტანდარტები.

პროგრამა 4 (ქართული (ქართველური) ენათმეცნიერება, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ქართულ ფილოლოგიაში, როგორც უმაღლესი განათლების ერთ-ერთი საკვანძო დოკუმენტი, ყველა ასპექტში ყურადღებით უნდა იქნას დაცული.

რეკომენდებულია, რომ ქართველური ლინგვისტიკის სასწავლო კურსები სრულ შესაბამისობაში იყოს მოყვანილი ქართული ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებელთან.

სილაბუსებში უნდა იყოს შეტანილი უფრო ახალი პუბლიკაციები და ჩანაცვლდეს ძველი რუსულენოვანი პუბლიკაციები.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 5 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)

რეკომენდაციები:

სილაბუსებში უნდა იყოს შეტანილი უფრო ახალი პუბლიკაციები და ჩანაცვლდეს ძველი რუსულენოვანი პუბლიკაციები.

რეკომენდირებულია სასწავლო კურსების სახელები და შინაარსი შეესაბამებოდეს სფეროში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას, რათა თავიდან იქნას აცილებული სამეცნიერო კვლევების გაურკვევლობა და მარგინალიზაცია.

დახვეწოს ინგლისურ ენაზე სავალდებულო ბიბლიოგრაფიის სტანდარტები.

რეკომენდებული სასწავლო კურსები: „საერთო ქართველური ენისა და ქართველური ქვესისტემების ფონემიური სტრუქტურა (ისტორიული დინამიკა)“, „ქართული ტრილიტერატურული ენის გრამატიკის აქტუალური საკითხები (ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებაში)“ ისე გადაამუშავდეს, რომ შეესაბამებოდეს ენათმეცნიერების სფეროში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას.

რეკომენდებულია სასწავლო კურსის „ლინგვიკულტუროლოგია“ გადახედვა და დოქტორანტურის შესაბამისი შინაარსისა და უახლესი ლიტერატურის შეტანა.

რჩევები:

სასურველია სასწავლო კურსი „ლინგვიკულტუროლოგიის“ სათაური შეიცვალოს, როგორც „ენა და კულტურა“.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.5 აკადემიური კურსი/საგანი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 3 (ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ქართული (ქართველური) ენათმეცნიერება, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ქართული (ქართველური) ენათმეცნიერება, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, შეფასების ადეკვატურობა პროგრამის ათვისებასთან

პროგრამაში დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმაღლეს სასწავლებელს აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი პროგრამებში მიღების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც სწავლის შედეგების მისაღწევად უზრუნველყოფენ პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებს აქვთ მიღების სამართლიანი და გამჭვირვალე წინაპირობები, რომელიც მოიცავს როგორც ფილოლოგიის მიმართულელებას, ასევე პროგრამის ტიპს: საბაკალავროს, სამაგისტროს და სადოქტოროს. პროგრამებში მითითებული წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხოლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია მოცემულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში. იგი გამოქვეყნებულია გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC) მიერ ყოველწლიურად განახლებად ინფორმაციაში „სტუდენტური გზამკვლევი“. დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მიეწოდებათ ღია კარის დღეებზე, საინფორმაციო შეხვედრებზე და ა.შ. პროგრამებზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია შიდა და გარე მობილობით, რაც რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

სამაგისტრო პროგრამებზე მიღების წინაპირობები არ მოიცავს ბაკალავრის საფეხურზე დარგობრივ კომპეტენციებს, რაც დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობით. ასევე,

უნივერსიტეტის თანახმად, დარგობრივი კომპეტენციები დასტურდება უნივერსიტეტის შიდა გამოცდით.

აღწერა და ანალიზი - საბაკალავრო სასწავლო პროგრამა „ქართული ენა და ლიტერატურა“

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები სამართლიანი და გამჭვირვალეა.

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლებისა და შესაბამისი დოკუმენტის მქონე პირი, რომელმაც ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და ფლობს შესაბამის სერტიფიკატს.

მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში, დასაშვებია: უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი ან ეკვივალენტი განათლება საზღვარგარეთ; საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტი განათლება საზღვარგარეთ და სწავლობდნენ სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წლის განმავლობაში უცხო ქვეყანაში; იმ პირებისთვის, ვინც უცხო ქვეყანაში სწავლობდა და აიღო კრედიტები ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

პროგრამებზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია შიდა და გარე მობილობით, რაც რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

აღწერა და ანალიზი - სამაგისტრო სასწავლო პროგრამა „ქართული ლიტერატურა“

ქართულ ლიტერატურაში სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები სამართლიანი და გამჭვირვალეა. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა:

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;

ჩარიცხვა საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ნებადართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;

შიდა-საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში (ქართული ენა):

საგამოცდო საკითხები და ჩატარების პროცედურა გამოქვეყნდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე: Akaki Tsereteli State University .edu.ge, სულ მცირე გამოცდებამდე ერთი თვით ადრე.

პროგრამებზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია შიდა და გარე მობილობით, რაც რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხოლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია მოცემულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში. იგი გამოქვეყნებულია გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC) მიერ ყოველწლიურად განახლებად ინფორმაციაში „სტუდენტური გზამკვლევი“. დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მიეწოდებათ ღია კარის დღეებზე, საინფორმაციო შეხვედრებზე და ა.შ. პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია შიდა და გარე მობილობით, რაც რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

სამაგისტრო პროგრამებზე მიღების წინაპირობები არ მოიცავს ბაკალავრის საფეხურზე დარგობრივ კომპეტენციებს, რაც დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობით. ასევე, უნივერსიტეტის თანახმად, დარგობრივი კომპეტენციები დასტურდება უნივერსიტეტის შიდა გამოცდით. ექსპერტთა ჯგუფის რჩევას, რომ სასურველი იქნებოდა სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვროს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და მასთან დაკავშირებულ დარგებში.

აღწერა და ანალიზი - სამაგისტრო პროგრამა „ლინგვისტიკა“

ლინგვისტიკაში სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები სამართლიანი და გამჭვირვალეა. პროგრამაზე მიღების წინაპირობაა:

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი:

საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება:

ჩარიცხვა საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ნებადართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

შიდა-საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში (ქართული ენა):

საგამოცდო საკითხები და ჩატარების პროცედურა გამოქვეყნდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე: Akaki Tsereteli State University .edu.ge, სულ მცირე გამოცდებამდე ერთი თვით ადრე.

პროგრამებზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია შიდა და გარე მობილობით, რაც რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხოლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია მოცემულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში. იგი გამოქვეყნებულია გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC) მიერ ყოველწლიურად განახლებად ინფორმაციაში

„სტუდენტური გზამკვლევი“. დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მიეწოდებათ ღია კარის დღეებზე, საინფორმაციო შეხვედრებზე და ა.შ. პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია შიდა და გარე მობილობით, რაც რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

სამაგისტრო პროგრამებზე მიღების წინაპირობები არ მოიცავს ბაკალავრის საფეხურზე დარგობრივ კომპეტენციებს, რაც დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობით. ასევე, უნივერსიტეტის თანახმად, დარგობრივი კომპეტენციები დასტურდება უნივერსიტეტის შიდა გამოცდით. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ სასურველი იქნებოდა სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვროს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და მასთან დაკავშირებულ დარგებში.

აღწერა და ანალიზი – სამაგისტრო სასწავლო პროგრამა „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“

ქართველური ლინგვისტიკის პროგრამაზე მიღების წინაპირობები სამართლიანი და გამჭვირვალეა. პროგრამაზე მიღების წინაპირობაა:

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი:

საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება:

ჩარიცხვა საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ნებადართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

შიდა-საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში (ქართული ენა):

საგამოცდო საკითხები და ჩატარების პროცედურა გამოქვეყნდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე: Akaki Tsereteli State University .edu.ge, სულ მცირე გამოცდებამდე ერთი თვით ადრე.

პროგრამებზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია შიდა და გარე მობილობით, რაც რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხოლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია მოცემულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში. იგი გამოქვეყნებულია გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC) მიერ ყოველწლიურად განახლებად ინფორმაციაში „სტუდენტური გზამკვლევი“. დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მიეწოდებათ ღია კარის დღეებზე, საინფორმაციო შეხვედრებზე და ა.შ. პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია შიდა და გარე მობილობით, რაც რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

სამაგისტრო პროგრამებზე მიღების წინაპირობები არ მოიცავს ბაკალავრის საფეხურზე დარგობრივ კომპეტენციებს, რაც დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობით. ასევე, უნივერსიტეტის თანახმად, დარგობრივი კომპეტენციები დასტურდება უნივერსიტეტის შიდა გამოცდით. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ სასურველი იქნებოდა სამაგისტრო პროგრამაზე

მიღების წინაპირობად განისაზღვროს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და მასთან დაკავშირებულ დარგებში.

აღწერა და ანალიზი - დოქტორანტურის სასწავლო პროგრამა „ფილოლოგია“

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა მაგისტრის ხარისხი ან მისი ეკვივალენტი. უცხოური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს შეიძლება მიენიჭოს სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები შეიძლება განისაზღვროს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დადგენილებითა და სადოქტორო პროგრამებით.

დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება:

დაადასტუროს ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული, არაბული ან სპარსული ენების ცოდნა C1 დონეზე (მაგისტრის ან ეკვივალენტური აკადემიური ხარისხი, ან საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი), თუ დოქტორანტი აირჩევს ზემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ ენას სამეცნიერო კვლევის ემპირიულ საფუძველად;

დაადასტუროს ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) ცოდნა B2 დონეზე (შესაბამისი გამოცდის ჩაბარება ან საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის წარდგენა). თუ დოქტორანტი მეცნიერული კვლევის ემპირიულ ბაზად აირჩევს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენას, მას შეუძლია გამოცდის ჩაბარება რუსულ ენაში;

ჰქონდეს ქართული ენის B2 საფეხურზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან ჩააბაროს შესაბამისი გამოცდა, თუ დოქტორანტს სურს ისწავლოს ქართული ენის პროგრამით და ქართული არ არის მისი მშობლიური ენა;

მისაღები გამოცდის ჩაბარება შერჩეულ კვლევით სფეროში;

წარმოადგინოს კვლევის სფეროს შესაბამისი ნაშრომი, პროექტი, ან გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი;

ჰქონდეს რეკომენდაცია მომავალი ხელმძღვანელისაგან;

პროგრამებზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია შიდა და გარე მობილობით, რაც რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები არ მოიცავს დარგობრივ კომპეტენციებს ბაკალავრიატის დონეზე, რაც მოქმედი კანონმდებლობით არის დაშვებული. ასევე, უნივერსიტეტის მიხედვით, დარგობრივი კომპეტენციები დასტურდება უნივერსიტეტის შიდა გამოცდის მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- აკადემიური საბჭოს დადგენილება No67 (21/22) 23/07/2022 - სტუდენტის სტატუსის მიღების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციისა და მიღებული განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ (<https://www.აკაკიწერეთლისსახელმწიფოუნივერსიტეტი.edu.ge/index.php/acad-council-separator/akad-sabchodadgenilebebi/2021-2022/67-21-22>);
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://www.AkakiTsereteliStateUniversity.edu.ge>;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ქართული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობად სასურველია განისაზღვროს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ და მასთან დაკავშირებულ მიმართულებებში.

პროგრამა 3 (ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობად სასურველია განისაზღვროს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ და მასთან დაკავშირებულ მიმართულებებში.

პროგრამა 4 (ქართული (ქართველური) ენათმეცნიერება, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობად სასურველია განისაზღვროს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ და მასთან დაკავშირებულ მიმართულებებში.

პროგრამა 5 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე მიღების წინაპირობები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ქართული (ქართველური) ენათმეცნიერება, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2.	პრაქტიკული,	სამეცნიერო/	კვლევითი/
შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება			

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს ხელშეკრულებები და მემორანდუმები აქვს გაფორმებული როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ორგანიზაციებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უნივერსიტეტებთან. უნივერსიტეტმა ჩაატარა ბაზრის კვლევა, რომლის მიხედვითაც აღინიშნა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს მაღალი რეპუტაცია რეგიონში და ქვეყანაში. გარდა ამისა, კვლევა მიუთითებს, რომ ფილოლოგიის მიმართულება მოთხოვნადია სხვადასხვა დარგში, რაც ხელს უწყობს ფილოლოგიის კურსდამთავრებულთა დასაქმებას. აღნიშნული მხარს უჭერს პროგრამის მიზნებსა და შედეგებს.

ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამები სტუდენტებს აძლევს პრაქტიკულ და კვლევით უნარებს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დონეზე. სასწავლო კურსები მოიცავს საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობას, მათ შორის დისკუსიას, დებატებს, პრეზენტაციას, მოხსენების, კვლევითი ნაშრომის მომზადებას და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროგრამებში შედის აკადემიური წერა და სამეცნიერო ნაშრომის მომზადება, თუმცა საბაკალავრო ნაშრომის მომზადება არ შედის საბაკალავრო პროგრამაში (დაწვრილებით იხ. 1.4.). თუმცა, აკადემიური წერის კურსები შედგება შეფასებებისგან, რომლებიც არ არის საკმაოდ რელევანტური წერითი უნარების გასაუმჯობესებლად. მაგალითად, ჩართულია მხოლოდ 5 ქულიანი ესე და გამოცდებზე იგულისხმება ტესტი და ღია კითხვები. გარდა ამისა, საჭიროა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის უნარების გაუმჯობესება. კერძოდ, საბაკალავრო დონეზე აკადემიური წერის ასპექტების გაუმჯობესება და სამაგისტრო ნაშრომებში სამეცნიერო ტერმინოლოგიის გაუმჯობესება, ფოკუსირება ნაშრომის დიზაინსა და სტრუქტურაზე. სადოქტორო დისერტაციების უმეტესობას არ აქვს ინგლისური რეფერატები, ასევე არის შეცდომები ნაშრომებში საერთაშორისოდ აღიარებული ციტირების სტილის დაცვაში.

კვლევის უნარების ხარისხის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით დოქტორანტურის დონეზე, ინსტიტუტმა უნდა წახალისოს აკადემიური პერსონალი, გამოაქვეყნონ სტატიები დოქტორანტებთან ერთად. პროფესორთან თანამშრომლობა ახალგაზრდა მკვლევარებს ღირებულ მხარდაჭერასა და გამოცდილებას აძლევს, სასარგებლო იქნება, თუ უნივერსიტეტი მომავალში აქტიურად წახალისებს და მხარს დაუჭერს სტატიების გამოქვეყნებას აკადემიურ პერსონალთან ერთად.

საჭიროების შემთხვევაში აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (დასახელება და დონე)

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე;

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- სტუდენტური კონფერენციების კრებული;
- მაგისტრანტთა და დოქტორანტთა კლასტერული მასალები;
- მემორანდუმები/ხელშეკრულებები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ მიესადაგება

კლასტერის საერთო რჩევები: არ მიესადაგება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ქართული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები: აკადემიური წერა უნდა გაუმჯობესდეს ბაკალავრიატის დონეზე.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: სამაგისტრო ნაშრომებში უნდა დაიხვეწოს ნაშრომის დიზაინი და სტრუქტურა, სამეცნიერო ტერმინოლოგია.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 3 (ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: სამაგისტრო ნაშრომებში უნდა დაიხვეწოს ნაშრომის დიზაინი და სტრუქტურა, სამეცნიერო ტერმინოლოგია.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 4 (ქართული (ქართველური) ენათმეცნიერება, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: სამაგისტრო ნაშრომებში უნდა დაიხვეწოს ნაშრომის დიზაინი და სტრუქტურა, სამეცნიერო ტერმინოლოგია.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 5 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია სადოქტორო ნაშრომების შემუშავება თანამედროვე კვლევის დიზაინის მიხედვით. ასევე, სადოქტორო ნაშრომებს უნდა დაერთოს ინგლისური რეზიუმეები.

დაწესებულებამ უნდა წაახალისოს აკადემიური პერსონალი, გამოაქვეყნოს სტატიები დოქტორანტებთან ერთად. დოქტორანტებისთვის სასარგებლო იქნება მათი ხელმძღვანელის რჩევები კვლევით პუბლიკაციებში. ეს გამოიწვევს მაღალი ხარისხის პუბლიკაციებს უნივერსიტეტის სახელით.

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშ მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშ	ნაწილობრივ შესაბამისობაშ	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 3 (ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ქართული (ქართველური) ენათმეცნიერება, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

თითოეული აკადემიური კურსის/საგნის სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების დონეს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. თითოეულ სასწავლო კურსში აღწერილია შესაბამისი და შესაფერისი მეთოდები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგებს. როგორც პირველ სტანდარტშია განხილული, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს, რომ ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი უნდა იქნას გათვალისწინებული სასწავლო პროგრამების ყველა ასპექტსა და ნაწილთან დაკავშირებით და მასზე იქნეს მორგებული სამაგისტრო პროგრამა „ქართული (ქართველური) ლინგვისტიკა“.

მეთოდები ვარირებს ინდივიდუალური სასწავლო კურსების მიხედვით. პროგრამების ფარგლებში გამოიყენება ვერბალური მეთოდი, განმარტებითი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, რეფერატის ან ესეს შესრულება, ევრისტიკული მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატები, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, ინდუქციის მეთოდი, დედუქციის მეთოდი, გონებრივი იერიში, დიალექტოლოგიური და ფოლკლორული პრაქტიკა, ტექსტის/მასალის კომენტარი, ინტერპრეტაცია და ანალიზი, მასალის დამოუკიდებლად მოძიება და შესწავლა, კვლევითი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, შედარება-კონტრასტული მეთოდი და ა.შ.

ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პანდემიის პერიოდში, უზრუნველყოფდა ელექტრონული/დისტანციური სწავლებისა და სწავლის პროცესს სასწავლო სფეროსთვის შესაბამისი სასწავლო მეთოდების გამოყენებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამკარა გამოწვევების მიუხედავად, მიზნები და სწავლის შედეგები დარჩა იგივე.

საჭიროების შემთხვევაში აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (დასახელება და დონე)

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის შემდეგობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე;

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- სასწავლო კურსების სილაბუსი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ქართული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 3 (ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 4 (ქართული (ქართველური) ენათმეცნიერება, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: სამაგისტრო პროგრამაზე „ქართული (ქართველური) ენათმეცნიერება“ სწავლებისა და სწავლის მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს მათ მიღწევას.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 5 (ფილოლოგია, დოქტორანტურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ლინგვისტიკა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (ქართული (ქართველური)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ენათმეცნიერება,
მაგისტრატურა)

პროგრამა 5
(ფილოლოგია,
დოქტორანტურა)

X

□

□

□

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. იგი არის გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინტერვიუების დროს მენეჯმენტმა და ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილებებმა დამაჯერებელი ინფორმაცია წარმოადგინეს საერთო სტრატეგიაში პროგრამების სტანდარტის გაზრდისა და სტუდენტების შესაძლებლობებისა და ცოდნის ამაღლების მიზნით შეფასების ფუნქციის შესახებ. პედაგოგიურმა პერსონალმა აღწერა თითოეული პროგრამის შეფასების სტრატეგიის საერთო ტექნიკა და უნიკალური მახასიათებლები, ხოლო სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღწერეს შეფასების სისტემა მათი გადმოსახედიდან. მნიშვნელოვანი ბარიერები ვადებისა და განრიგის შესასრულებლად არ გამოვლინდა. იმ პროგრამების კურსდამთავრებულებმა, რომლებიც საჭიროებდნენ დისერტაციას, ძალიან დადებითად და კარგად შეაფასეს მთელი პროცესი.

მიუხედავად იმისა, რომ შეფასების სისტემა ზოგადად შეესაბამება სტანდარტებს, არსებობს გაუმჯობესების რამდენიმე სფერო: თითქმის ყველა სილაბუსში, ყველა პროგრამაში, შეფასების სისტემაში ვხვდებით, რომ მოთხოვნილია როგორც სავალდებულო, ისე დამხმარე ლიტერატურის სიღრმისეული და საფუძვლიანი ფლობა. დამხმარე ლიტერატურა არ უნდა იყოს სავალდებულო სტუდენტებისათვის უმაღლესი შეფასების მისაღებად და არ უნდა მოქმედებდეს სტუდენტის ქულაზე.

